

ქეთევან თამაზაშვილი

პრეისტორიული ხანის სამთო წარმოების
იარაღები საქართველოში



ქ. თბილისი თამაზაშვილი
KETEVAN TAMAZASHVILI

პრეისტორიკული ნაირ სამთო ნარმოვანის
იარაღები საქართველოში

PREHISTORIC MINING IMPLEMENTS
FROM GEORGIA

თბილისი
TBILISI
2014

UDC (უაკ) 903.01/09+903-03
ო-252

ნაშრომი ნაწილია ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო საგრანტო პროექტისა (PG/64/2-105/13) - „პრეისტორიული ხანის სამთო იარაღები საქართველოში”, რომელიც 2013 წელს დაფინანსდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ.

ნაშრომი შესრულდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის სამეცნიერო ლაბორატორიასა და ბოხუმის გერმანიის სამთო მუზეუმში. თემა აქტუალური გახდა მსა მერე, რაც საქართველოს ტერიტორიაზე ქართულ - გერმანული ერთობლივი სამეცნიერო პროექტის „ოქრო საქართველოში”, დაფინანსებული იყო ფოლქსვაგენის ფონდის მიერ. 2004-2013 წწ. ქვემო ქართლში, ბოლნისის მუნიციპალიტეტში, შესწავლილი და გამოკვლეული იქნა საყდრისის ოქროს უძველესი სამთო წარმოების კერა (პროექტის ხელმძღვანელები პროფ. ანდრეას ჰაუპტმანი, პროფ. თომას შტოლნერი და დოქ. ირინე ლამბაშიძე). საყდრისის ოქროს უძველეს გამონამუშევრების კულტურულ ფენებში თანამედროვე სტანდარტით შესრულებული სამთო არქეოლოგიური სამუშაოების დროს, დეტალურად იქნა დაფიქსირებული და მოპივებული ქვის, ძვლისა და ობიექტების სამთო იარაღები, რომელიც ძირითადად ოქროს მადნის მოსაპოვებლად გამოიყენებოდა. ამდენად, დადგა საკითხი თუ რამდენად შესაძლებელი იქნებოდა საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი სამთო იარაღების ერთად თავმოყრა და მათი ანალიზი. ჩვენი კვლევების მიზანი გახდა საქართველოს მუზეუმების გამოფენებსა და ფონდებში სამთო იარაღების მოძიება, ერთიან სისტემაში მათი დაფიქსირება და კატალოგიზაცია.

ნაშრომი წარმოადგენს სამთო იარაღების კომპლექსური კვლევის პირველ მცდელობას და განკუთვნილია სამთო ისტორიით დაინტერესებული სპეციალისტებისათვის.

რედაქტორები: ისტ. დოქტორი ირინა ლამბაშიძე
ისტ. მეც. დოქტორი, პროფ. თომას შტოლნერი
ისტ. დოქტორი მინდია ჯალაბაძე

ნაშრომში წარმოდგენილი მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლებელია არ ემთხვეოდეს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის შესეღლებებს.

ISBN 978-9941-0-7363-2

© ქ. თამაზაშვილი

The work is the part of the Presidential Grants for Young Scientists Project – “Prehistoric Mining Implements from Georgia”, which was financed in 2013 by Shota Rustaveli National Science Foundation.

The work was done in the Science Laboratory of Georgian National Museum and Bochum German Mining Museum. The topic became actual after the Georgian-German Science Project “Gold in Georgian”, which was financed by Volkswagen Foundation. In 2004-2013, in Kvemo Kartli, Bolnisi Municipality, was studied and investigated the ancient gold mining complex of Sakdrisi (Heads of the Project – Prof. Dr. Andreas Hauptmann, Prof. Dr. Thomas Stöllner and Dr. Irina Gambashidze). During archaeological excavations in Sakdrisi, which was done with the high standards of mining archaeology, was discovered stone, bone and obsidian mining implements. Consequently the question arose of concerning the mining tools discovered on the territory of Georgia. The goal of our research was to collect all the mining implements from the Georgian Museums, to discuss them in one united system and make the catalogue.

This work can be regarded as the first try for investigating the mining implements Georgia.

Editors: Dr. Irina Gambashidze
Pof. Dr. Tomas Stöllner
Dr. Mindia Jalabadze

All ideas expressed herewith are of the author and may not represent the opinion of the Foundation itself.

სარჩევი

შესავალი.....	5
I თავი	
სამთო წარმოების იარაღები აფხაზეთიდან და სვანეთიდან.....	10
II თავი	
სამთო წარმოების იარაღები რაჭიდან.....	15
III თავი	
სამთო მეტალურგიასთან დაკავშირებული იარაღები აჭარასა და გურიაში	42
IV თავი	
სამთო წარმოების იარაღები საყდრისის ოქროს მაღაროდან..	45
V თავი	
ქვის უროები მარილის მაღაროებიდან.....	51
VI თავი	
სამთო წარმოების იარაღების ინტერდისციპლინარული კვლევები	65
VII თავი	
სამუშაო იარაღები სამთო წარმოების ძეგლებზე	73
დასკვნა.....	92
Resume	96
ლიტერატურის სია	103
ტაბულების აღწერილობა	109
Tables Discription	111
ტაბულები	113
Tables	113

შესავალი

სამთო არქეოლოგია მსოფლიოში ერთ-ერთ წამყვან დარგად იქცა და მის გარეშე მსოფლიოს უძველესი მეტალურგიის შესწავლა წარმოუდგენელი გახდა. მეცნიერებისათვის განსაკუთრებით დიდ ინტერესს პრეისტორიული ხანის სამთო წარმოების შესწავლა წარმოადგენს.

მსოფლიოში დღეს უკვე ცნობილია უამრავი პრეისტორიული ხანის მაღარო-გამონამუშევარი, სადაც ბრინჯაოსა და რკინის ხანაში ხდებოდა ოქროს, სპილენძის, კალისა და სხვ. მაღნების ათვისება და დამუშავება. პრეისტორიული ხანის საბადოები ცნობილია ბრიტანეთში, ესპანეთში, იტალიაში, ანატოლიაში, შუა აზიასა და სხვა ადგილებში.

მსოფლიო პრეისტორიული ხანის სამთო წარმოებასთან დაკავშირებული ლიტერატურა საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანია. უძველესი მაღაროები ინტერდისციპლინარული კვლევებით კარგად არის დათარიღებული. შექმნილია სამთო წარმოებაში გამოყენებული იარაღების ტიპოლოგია და დადგენილია მათი ფუნქციური დანიშნულება. არქეოლოგიური მასალა (ქვის იარაღები, ხის ნიჩები, გობები, ტყავის მათარები, კიბეები, გოდრები და სხვა) სრულ წარმოდგენას გვიქმნის პრეისტორიული ხანის სამთო წარმოების პროცესზე.

საქართველოში სამთო-არქეოლოგიურ კვლევას არცთუ ისე დიდი ისტორია აქვს. კავკასიისა და კერძოდ საქართველოს ტერიტორიაზე მიკვლეულ სამთო წარმოების ძეგლებზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოები ძირითადად სადაზვერვო-გამოვლენითი ხასიათისა იყო. ამდენად, უძველეს გამონამუშევრებში სტრატიფიცირებული ფენები არ ყოფილა შესწავლილი.

საქართველოში ცნობილია ოქროს, სპილენძის, დარიშხანის, ანთიმონისა და სხვა პოლიმეტალების 200-ზე მეტი საბადო და ზედაპირული გამოვლინების ადგილები. თითქმის ყველა უმთავრეს საბადოზე დაფიქსირებულია მაღნის მოპოვებისა და დამუშავების კვალი. ეს საბადოები მდებარეობენ კავკასიონის მთავარი ქედის გასწვრივ: აფხაზეთის, სვანეთის, რაჭისა და კახეთის (ზემო ალაზნის) ტერიტორიაზე, ხოლო მცირე კავკასიონზე ბოლნის-დმანისისა და აჭარა-გურიის სამთო-მეტალურგიული

კერებია მიკვლეული (დამბაშიძე ირ. და სხვ. 2010: 33)

საქართველოში მეტალურგიულ წარმოებასთან დაკავშირებულ არქეოლოგიურ კვლევებს დიდი ტრადიცია არა აქვს. თავდაპირველი კვლევები ძირითადად მაღარო-გამონა-მუშევრების აღწერითა და ინვენტარის შეგროვებით შემოიფარგლებოდა. პრეისტორიული ხანის მაღაროებში აღმოჩენილი მასალიდან ყურადღება ძირითადად მაღნის დასამუშავებელ ქვის უროებს ექცევოდა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში უკანასკნელ ხანებამდე არ იყო დანერგილი სათანადო სამთო არქეოლოგიური კვლევა-ძიება. სამთო წარმოება ცალკე შესწავლის საგანი არ ყოფილა და სამეცნიერო ლიტერატურაში ის განხილუებოდა მხოლოდ ფართო საკითხების კონტექსტში. აქამდე არ არის შემუშავებული ამ ტიპის არქეოლოგიური ძეგლის გათხრის მეთოდიკა.

ბოსუმის გერმანიის სამთო მუზეუმის დახმარებით საქართველოში ნელ-ნელა ინერგება სამთო არქეოლოგიის მიმართულება, ამ ტიპის გათხრების მეთოდიკა და მოპოვებული მასალის ფიქსაცია. ასევე, ინტენსიურად მიმდინარეობს სხვა-დასხვა სახის ლაბორატორიული და ექსპერიმენტული კვლევები.

საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიურად აღმოჩენილი და შესწავლილი სამთო-მეტალურგიული წარმოების ამსახველი მაღარო-გამონამუშევრები, მაღანგამოვლინებები, მოპოვებული მინერალების გამდიდრება-გადამუშავებისა თუ მეტალურგიული სახელოსნოების ფუნქციონირების ამსახველი ობიექტები, ტექნიკის ისტორიის დიდი შენაძენია და სათანადო ადგილი უკავია მსოფლიო ცივილიზაციების შესწავლის ისტორიაში (ინანიშვილი და სხვ. 2010: 6).

სამთო წარმოების შესწავლა და ამ დარგის განვითარება საკმაოდ მნიშვნელოვანია საქართველოს მეცნიერებისათვის და ისეთი პრობლემების გადაჭრისათვის როგორებიცაა — უძველესი სამთო წარმოება, უძველესი მეტალურგიის განვითარება, ვაჭრობა და სხვა.

საქართველოში აღმოჩენილი სამთო წარმოების ძეგლებისა და აქმოპოვებული არტეფაქტების მიხედვით სამთო წესით მაღნის მოპოვება ხდებოდა როგორც დახურული - მიწისქვემა, ასევე ლია - კარიერული წესით. გამონამუშევრების ნაწილი

საძიებო-სადაზვერვო ხასიათისაა, სხვები კი, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, საექსპლოატაციო მაღაროებია, თანაც მეტად რთული პროფილისა, ზოგჯერ ორ-სამიარუსიანი გვერდითი დერეფნებით, შტრეკებით, გეზენკებით და საპაერო-სავენტილაციო ხვრელებით. მათი გამოკვლევის შედეგები მოწმობს, რომ სამთამადნო ძიება და საბადოთა დამუშავების საქმე უძველეს დროში საკმაოდ განვითარებული უნდა ყოფილიყო.

ქვის იარაღები, ფუნქციური დანიშნულების მიხედვით, მადნის წარმოების სამ ეტაპზე გამოყენებული - მადნის მოსაპოვებლად - მოსანგრევად (სხვადასხვა ფორმის, ზომისა და ჯიშის ქვის უროები, იშვიათ შემთხვევაში რქისა და ძვლის იარაღები), მის გადასამუშავებლად და გასამდიდრებლად (ქვის სანაყები, საფხნელები და ამბოსები).

სვანეთის, რაჭის, აფხაზეთისა და ქვემო ქართლის პრეისტორიული ხანის სამთო წარმოების ძეგლებზე დიდი რაოდენობითაა მსგავსი ტიპის იარაღები დაფიქსირებული. ისინი განსხვავდებიან, როგორც ფორმის, ასევე ზომის მიხედვით, რაც, როგორც ჩანს, სხვადასხვა მადნის მოპოვებასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. დღევანდელი მონაცემების მიხედვით მადნის მოსაპოვებელი იარაღების როლი, მათი გამოყენების ტექნიკა, ტიპოლოგია და პეტროგრაფია მხოლოდ ზოგადად არის განხილული სამეცნიერო ლიტერატურაში (გ. გობეჯიშვილი, შ. ჩართოლანი, ირ. ლამპაშიძე და სხვ.) და არ გვიქმნის სრულ სურათს პრეისტორიული ხანის სამთო წარმოებაზე.

წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს საქართველოს პრეისტორიული ხანის მაღაროებსა და გამონამუშევრებში აღმოჩენილი მადნის მოსაპოვებელი ქვის იარაღების კატალოგის შედგენა და მათი მორფოლოგიური დახასიათება. შევეცადეთ თავი მოგვეყარა საქართველოში აღმოჩენილი სამთო წარმოებასთან დაკავშირებული ქვის იარაღებისათვის და ერთიან კონტექსტში განვეხილა ისინი.

პროექტის მიზნის განსახორციელებლად მოხდა საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და რეგიონალური მუზეუმების ფონდების კოლექციების დამუშავება. ნაშრომისათვის მასალა მოპოვებულია ხუთ რეგიონალურ (ონი, მესტია, ცაგერი, ბათუმი და ოზურგეთი) და არმაზის არქეოლოგიურ საცავში.

მოძიებული მასალა აღრიცხულ იქნა შესაბამის დოკუ-

მენტაციაში და მოხდა მასალის ფოტო და გრაფიკული ფიქ-საცია¹. დღეისათვის ექსპოზიციებზე წარმოდგენილი სამთო წარმოებასთან დაკავშირებული იარაღები საკმაოდ მცირე-რიცხოვანია, მიუხედავად იმისა, რომ რეგიონები მდიდარია ამ ტიპის ძეგლებით. სვანეთის მუზეუმის ექსპოზიციაზე გამოფე-ნილია ზაარგაშის გამონამუშევრებში მიკვლეული ორი ურო და ერთი მადნის გასამდიდრებელი ამბოსი. რაჭაში, ონის მხარეთ-მცოდნეობითი მუზეუმის კოლექციებში აღმოჩნდა ერთი ქვის იარაღი (სურ. 5), რომელიც ანდეზიტისაგან არის დამზადებული და სამთო წარმოების იარაღად არის გააზრებული. რაც შეეხ-ება ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, აქ სამთო წარმოე-ბის იარაღები საერთოდ არ ფიქსირდება. ბათუმისა და ოზურ-გეთის მუზეუმებში დაცული მასალა ძირითადად უკონტექსტოა, თუმცა ფორმებისა და პარალელური მასალების მიხედვით შეი-ძლება ითქვას, რომ ისინი მეტალურგიისთან იყო დაკავშირებული.

საკმაოდ საინტერესო კოლექციებია დაცული არმაზის არქეოლოგიურ ბაზაზე. აქ დაცული ქვის იარაღები, რომლებიც რაჭის მაღაროებშია აღმოჩენილი, პირველად იქნება ჩვენს ნაშრომში განხილული.

ასევე, პირველად იქნება განხილული საქართველოს ეროვ-ნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიურ ფონდებში დაცული ქვის კოლექცია, რომელიც კავკასიაში დაფიქსირებული უძველესი მარილის სა-ბადოებიდან მომდინარეობს.

საყდრისის ბრინჯაოს ხანის მაღაროებში აღმოჩენილი იარაღების სიმრავლის გამო მათი სრულყოფილი აღრიცხვა და დამუშავება ამ ეტაპისთვის საკმაოდ რთული აღმოჩნდა. აქ დაფიქსირებული იარაღები უფრო დეტალურ ანალიზსა და კვლევას საჭიროებს. პროექტის ფარგლებში დამუშავდა სა-ქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის სახ-ელობის არქეოლოგიის ცენტრის ფონდებში დაცული მასალის ერთი ნაწილი.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქვის უროები, რომლებიც პრეისტორიული ხანის სამთო წარმოებაში გამოი-ყენებოდა, საკმაოდ მრავალფეროვანია. ამ მრავალფეროვანი

1. მხატვარი ელეონორა სახვაძე

მასალის ტიპოლოგიური და ლაბორატორიული შესწავლა დაგვეხმარება განვსაზღვროთ მათი ფუნქციური დანიშნულება. სწორედ ამ მიზნით მოხდა საყდრისში აღმოჩენილი ქვის, ძვლისა და ობიექტების ტრასოლოგიური კვლევა, რომელმაც საკმაოდ საინტერესო შედეგები მოგვცა.

ნაშრომში განხილულია მსოფლიო პრეისტორიული ხანის ლითონისა და მარილის საბადოები და აქ დაფიქსირებული მრავალფეროვანი მასალა. ასევე მიმოხილული იქნება ექსპერიმენტებისა და ინტერდისციპლინარული კვლევების საფუძველზე შექმნილი სამთო წარმოების იარაღების ტიპოლოგია, მათი მრავალფეროვანი ფუნქციონალური დანიშნულება და პრეისტორიული ხანის სამთო საქმიანობის სხვადასხვა ეტაპები.

წინამდებარე ნაშრომის შესრულებაში დიდი დახმარება გაგვიწია საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და ბოხუმის სამთო მუზეუმის ერთობლივმა ექსპედიციამ. ექსპედიცია უკვე წლებია, რაც სამთო არქეოლოგიურ კვლევას აწარმოებს საქართველოში და ცდილობს დანერგოს საერთაშორისო სტანდარტები სამთო არქეოლოგიის შესწავლის კუთხით. ნაშრომზე მუშაობის დროს დიდი დახმარება გაგვიწიეს ქართულ-გერმანული ექსპედიციის ხელმძღვანელებმა ქ-ნმა ირინა ლამბაშიძემ და ბ-ნმა თომას შტოლნერმა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ. ჩვენი კვლევის პროცესში ძირითადად ვეყრდნობით ექსპედიციის მიერ შედგენილ ანგარიშებს, ლაბორატორიული კვლევის შედეგებსა და ექსპედიციის წევრების მიერ გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომებს.

ასევე დიდ მადლობას მოვახსენებთ საქართველოს ეროვნული მუზეუმის, სვანეთის არქეოლოგიის მუზეუმის, ოთ. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიის ცენტრის, ონის მხარეთმცოდნეობითი მუზეუმის, ცაგერის მხარეთმცოდნეობითი მუზეუმის, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის თანამშრომლებს განეული დახმარებისათვის.

I თავი სამთო ნარმოების იარაღები აფხაზეთიდან და სვანეთიდან

აფხაზეთის მთიანეთში, მდ. კოდორის ზემო წელისა და მისი შენაკადების სათავეებში სპილენძის გამადნებათა სისტემა გავრცელებულია 25 კმ-ის მანძილზე, რამდენიმე ასეული მეტრის სიმძლავრის მადანგამოსავლებით. ძირითად მინერალებს წარმოადგენს: პიროტინი, პირიტი, ქალკოპირიტი და გალენიტი. სპილენძის შემცველობა საშუალოდ 0,5-1,2 %-ია. მინარევის სახით გვხვდება ტყვია და კობალტი. მადნის ძარღვებში სპილენძის შემცველობა 1,0-12,0 %-ია (ჩართოლანი შ. 2010: 256).

XX საუკუნის 50-იან წლებში გეოლოგიური და პეტროლოგიური საველე სამუშაოების დროს აფხაზეთში, ბზიფისა და კოდორის ხეობებში, ზღვის დონიდან 2000-2400 მ-მდე სიმაღლეზე აღმოჩნდა სპილენძის უძველესი გამონამუშევრები შხაბზიას, ადანგეს, ბაშკაცარას, პტიშისა და ტვიბრაშერას მიდამოებში. ამ ტერიტორიაზე 1969-1988 წლებში ჩატარებული დაზვერვებით კი განისაზღვრა, რომ პრეისტორიული ხანის გამონამუშევრები მხოლოდ შხაბზიას, ბაშკაცარასა და ტვიბრაშერაშია დადასტურებული (ჩართოლანი შ. 2010: 33).

უძველეს გამონამუშევრებში, რომლებიც კონცენტრირებულია სპილენძის მადნის ძლიერ გამოვლინებებზე, გამოიყოფა ორი ტიპის გამონამუშევრები: ღია და დახურული. ხოლო მაღაროების ერთი ნაწილი დაფარულია ფუჭი ქანების სქელი ფენით (ინანიშვილი გ. და სხვ. 2010: 63).

ტვიბრაშერას გამონამუშევრის შესასვლელთანაც და მაღაროშიც დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი მადნის მოპოვება-გადამუშავებასთან დაკავშირებული წარმოების ნაშთები – ქვის უროები (ტაბ. V, 1) და მადნის კონგლომერატი (ინანიშვილი გ. და სხვ. 1998: 53).

ზემოაღნიშნული სამთამადნო წარმოების ძეგლების დაზვერვების დროს ნაპოვნია მნიშვნელოვანი რაოდენობის ნივთიერი მასალა: ქვის უროები (სურ. 1, 2, 4) და ხელკვერები, ხის ძელები, მადნის წიდები, ხის ნახშირი და სხვა.

აქ აღმოჩენილი იარაღი დამზადებულია საგანგებოდ შერჩეული ქვის მაგარი ქანებისგან (გრანიტი, გაბროდიაბაზი და

სხვ.). გვხვდება სხვადასხვა ზომა-წონისა და მოყვანილობის უროები. ფორმის მიხედვით საინტერესოა მრგვალი, მოკლე და წაგრძელებული უროები, რომელთაც ერთი ბრტყელი გვერდი აქვთ. მათ უმეტესობას დატანილი აქვს გარდიგარდმო დატანილი თითო დარი (ჭირჭალი), რაც ტარის თოკით ან თასმით დასამაგრებლად იყო განკუთვნილი (ჩართოლანი შ. 2010: 30). მრგვალგანივერების იარაღებს უმეტესად აქვთ უწყვეტი სარტყელი, რომელიც იარაღის შუა ნაწილშია დატანილი. ქვის უროები და ხელკვერები, მსვავსად ზემო რაჭის მონაპოვრებისა, აქაც მაგარი ქანების დასანგრევად და მადნის საფხვნელად გამოყენებოდა. იარაღების სამუშაო პირები საკმაოდ გაცვეთილია, რაც მათ ხანგრძლივ გამოყენებას უსვამს ხაზს (ჩართოლანი შ. 1969: 55).

აფხაზეთის ძველ მაღაროებში ქვის იარაღების გარდა ნაპოვნია ორგანული მასალა, რომელთაგან გამოირჩევა სხვადასხვა ზომის ძელების ნატეხები. მათ გამოყენებას შოთა ჩართოლანი წოლხვრელების-გამონამუშევრების კედლებისა თუ ჭერის გამაგრებას უკავშირებს (ჩართოლანი შ. 2010: 32).

ზემოთ აღნიშნული სამთამადნო წარმოების ძეგლები თარიღდება ძვ.წ Ⅱ-Ⅰ ათასწლეულებით (ინანიშვილი გ. და სხვ. 2010: 66).

აფხაზეთის სამთო წარმოების ძეგლების აღმოსავლეთ მიმართულებას წარმოადგენს სვანეთის რეგიონის სამთო-მეტა-ლურგიული კომპლექსი. სვანეთის რეგიონის სპილენძის გამადნებათა სისტემაში ექცევა მდ. ენგურის, ცხენისწყლისა და რიონის სათავეები. ძირითადი მადნეული მინერალებია პიროტინი, ხალკოპირიტი, გალენიტი. სპილენძის საშუალო ქიმიური შედგენილობა $0,45-2,4$ %-ია. მინარევი ელემენტებია კობალტი და ნიკელი (ლამბაშიძე ირ. და სხვ. 2010: 34).


სვანეთში უძველესი სამთამადნო წარმოების არსებობის შესახებ ცნობილი გახდა XX საუკუნის 70-იანი წლებიდან. შემთხვევითი თუ საძიებო არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად დაფიქსირებულია ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანის სპილენძის მადნის ამოსაღები 15 მაღარო. ამათგან ყველაზე უკეთ შესწავლილია ზაარგაშის დახურული ტიპის სამთამადნო გამონამუშევრები (ტაბ. III) (Tschartolani Sh. 2001: 120).

გამონამუშევრების ინერტული მასისგან განმენდის დროს

აღმოჩენილ იქნა მადნის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და პირველადი მექანიკური გამდიდრების პროცესში გამოყენებული სხვადასხვა სახის იარაღები: საღი და ხმარებისგან დაზიანებული ქვის უროები, ჩაქუჩები (სურ. 3), სანაყები (ტაბ. VI) და ერთი ცალი ბრინჯაოს ცული. ასევე, მაღაროდან მადნის გამოსატანი ხის გობისა და დაწნული საზიდოების (ჩელტების) ფრაგმენტები, ხის ნახშირი და სხვა მასალები (Tschartolani Sh. 2001: 127).


ზარგაშის მაღაროებში დაფიქსირებული ქვის იარაღების დასამზადებლად საგანგებოდ შერჩეულია მაგარი ჯიშის ქვა, გრანიტი და გაბროდიორიტი. გამოირჩევა ოდნავ მოგრძო ფორმის, მრგვალი და ოვალურგანიველეთიანი იარაღები. ოვალურგანიველეთიან იარაღებს ხშირად ცალი გვერდი დაბრტყელებული აქვს. მრგვალგანიველეთიან უროებსა და ჩაქუჩებს შუაზე წრიულად გარშემოუყვებათ საგანგებოდ ამოჭრილი თითო ჭდე (ლარი). ბრტყელგვერდიან იარაღებს ტარის დასამაგრებლად განკუთვნილი ჭდე მხოლოდ მრგვალ გვერდზე აქვს ამოჭრილი (ტაბ. IV). ყველა იარაღს ეტყობა ხანგრძლივი გამოყენების – დარტყმის კვალი. ქვის უროების ნონა 3.0 კგ-დან 11.0 კგ-მდე მერყეობს, ჩაქუჩებისა 1.5-7.0 კგ შორის. გამონაკლისს წარმოადგენს №2 მაღაროში აღმოჩენილი ერთი ურო, რომელიც განსხვავდება რაჭისა და აფხაზეთის უროებისგან, როგორც ზომით (37X30 სმ), ისე ნონით – 44.0 კგ-ს იწონის (ტაბ. IV, 2, V, 1). მისი ხის ტარზე დამაგრება და მოსაქნევ - დარტყმით იარაღად გამოყენება გამორიცხულია. როგორც ჩანს, ასეთ უროებს, თოკზე ჩამოკიდებულს ურტყავდნენ ძნელად დასანგრევ კლდეს (სურ. 21-22). მაშასადამე იგი წარმოადგენს მარტივი კონსტრუქციის “მექანიკური” მოწყობილობის, მძიმე დარტყმის იარაღს (Tschartolani Sh. 2001: 127).

სვანეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სამთო-მეტალურგიული ძეგლები ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისიდან ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებამდე პერიოდით არის დათარიღებული (ინანიშვილი გ. და სხვ. 2010: 70).




სურ. 1. უროების ტიპები შხაბზიას გამონამუშევრიდან (ჩართოლანი შ. 2010:45)

Fig. 1. Hammer types from Shkhabzia mine (Chartolani Sh. 2010:45)




სურ. 2. უროების ტიპები ბაშკაცარას გამონამუშევრიდან (ჩართოლანი შ. 2010:45)

Fig. 2. Hammer types from Bashkatsara mine (Chartolani Sh. 2010:45)



სურ. 3. ზაარგაშის №2 მაღაროში აღმოჩენილი უროები (ჩართოლანი შ. 2010: 49)

Fig. 3. Hammer tools from Zaargash mine №2 (Chartolani Sh. 2010: 49)



სურ. 4. უროების ტიპები ტვიბრაშერას გმბნამუშევრებიდან (ჩართოლანი შ. 2010: 46)

Fig. 4. Hammer types from Tvirashera mines (Chartolani Sh. 2010: 46)

II თავი სამთო თაროვაბის იარაღები რაჭიდან

რაჭაში სამთამადნო წარმოების ძეგლები განლაგებულია მდ. რიონისა და მისი შენაკადების – ჩვეშოსა და ზოფხითურის ზემო წელზე (ინანიშვილი გ. და სხვ. 1998: 54). აქ დაფიქსირებული მაღარო-გამონამუშევრები გაყვანილია სპილენძის, დარიშხანისა და ანთიმონის მადნების მოსაპოვებლად, ე.ი. მინერალებისათვის, რომლებიც წარმოადგენდა ქართულ-კავკასიური ბრინჯაოს უძველესი ნიმუშების ძირითად შემადგენელ ელემენტებს (Maisuradze B. Gobedschischwili G. 2001: 130).

რაჭაში არქეოლოგიური გათხრების შედეგად დასტურდება, რომ აქ მადნის მოპოვება ხდებოდა, როგორც მინისზედა, ასევე მინისქვეშა დამუშავებით. მაღაროთა გაყვანის წესის, დანიშნულების, კონსტრუქციებისა და ექსპლოატაციის მასშტაბების გათვალისწინებით გამოყოფილია გამონამუშევართა სხვადასხვა ტიპები. გვხვდება, როგორც ღია მარტივი ორმოლ-რმულიანი, ასევე რთული მრავალსართულიანი გვირაბების სისტემები (ინანიშვილი გ. და სხვ. 2010: 73).

სპილენძის მადნის უძველესი მაღაროები მდებარეობს სოფ. გონასთან, მდ. ჩვეშურის ხეობაში. ისინი ლოკალიზდებიან ჭყორნალიანის საბადოზე, საწყვეტელას ღელეს, ნაბოსლებისა და ჩვეშოს წყაროსფარის ობიექტებზე (ინანიშვილი გ. და სხვ. 1998: 54). სპილენძის 20-მდე მაღარო-გამონამუშევარი, რომელიც აქ გაითხარა, საინტერესოა მათი ფუნქციისა და გაყვანის ტექნიკის მხრივ. 1959 წელს, მდ. ჩვეშურის ხეობაში, ადგილ ხვარდახეთში, გაინმინდა ერთი ორსართულიანი და ერთიც საძიებო გამონამუშევარი. მაღაროების კედლებზე ზოგან ლითონის იარაღით მუშაობის კვალია დაფიქსირებული, ხშირ შემთხვევაში კი ქვის მძიმე უროების გამოყენება დასტურდება (გობეჯიშვილი გ. 1960).

პრეიისტორიული ხანის სპილენძის მაღაროების გარდა, მთიანი რაჭის ანთიმონის საბადოებზე მიკვლეული და შესწავლილია ოცამდე ობიექტი. უმეტეს მათგანზე დაფიქსირებულია უძველესი სამთამადნო წარმოების ნიმუშები. ძეგლების უდიდესი ნანილი განლაგებულია ზოფხითოს, საგებისა და ხვარდახეთის ანთიმონის გამადნებათა სისტემაში (ინანიშვილი გ. და სხვ. 2010:

54). აღმოჩენილ ობიექტებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და საინტერესო ძეგლია ზოფხითოს საბადო, რომელიც ზღვის დონიდან 2300-2800 მ-ის სიმაღლეზე მდებარეობს.


სამთამადნო წარმოებასთან დაკავშირებული უსაფრთხოების ტექნიკა ჯერჯერობით არაა სათანადოდ შესწავლილი, თუმცა აქ აღმოჩენილ სხვადასხვა ძეგლების ცალკეულ უბნებზე დაფიქ-სირებულია მაღაროს მოპირდაპირე კედლებს შორის გაჭედილი ხის ძელები, ასევე შვეული ბიჯგები (გობეჯიშვილი გ. 1960: 19).

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოთანი რაჭის სამთამადნო წარმოების ძეგლებზე მიკვლეულია დიდი რაოდენობით ქვის იარაღები (უროები, სახეხები, ამბოსები) (სურ. 5-6, ტაბ. V, 2), ხის მასალა და სხვა (ინანიშვილი გ. და სხვ. 1998: 55).

არქეოლოგიური აღმოჩენების საფუძველზე დადგინდა, რომ მონგრეული მადნის მექანიკური გამდიდრება ხდებოდა მაღაროების შესასვლელებთან. გამდიდრების პროცესში გადაყრილი ფუჭი ქანებისგან წარმოქმნილი გორები ან დიდ ფართობზე გავრცელებული კულტურული ფენები რაჭაში გათხრილ სამთო წარმოების ძეგლების ტერიტორიაზე თითქმის ყველგანაა დაფიქსირებული. მადნის გამდიდრებისათვის გამოიყენებდნენ ქვის უროებს, სასრეებს, სანაყებსა და ამბოსებს. ისინი ძირითადად დამზადებულია რიყის მაგარი ქვებისგან. უმეტეს შემთხვევაში ქვის უროებს ამკობთ ტარის დასამაგრებლად განკუთვნილი ამოღარული სარტყელი, რომელიც იარაღის შუა ნაწილშია დატანილი (გობეჯიშვილი გ. 1966: 20; ინანიშვილი გ. და სხვ. 2010: 55).

რაჭის პრეისტორიულ მაღაროებში აღმოჩენილი ქვის იარაღების ნაწილი დაცულია არმაზის არქეოლოგიურ ბაზაზე, რომელიც ითვლის 68 არტეფაქტს. სანუხაროდ, მათი აღმოჩენის ზუსტი კონტექსტი არასრული დოკუმენტაციის გამო გაურკვეველია.

იარაღები აღრიცხულ და აღწერილ იქნა, მოხდა მათი კლასიფიკაცია და ტიპოლოგია, ფოტო და გრაფიკული ფიქსაცია. იარაღებში ჭარბობს ანდეზიტისა და გრანიტისგან დამზადებული ცალები, თუმცა ზოგიერთი მათგანის ქვის ჯიშის დადგენა ვერ მოხერხდა მათზე არსებული უანგისფერი ნადების გამო.



სურ. 5 სამთო იარაღი რაჭიდან. შემთხვევითი მონაპოვარი.

Fig. 5. Mining tool from Racha

არმაზის არქეოლოგიურ ბაზაზე დაფიქსირებული ქვის იარაღების შესწავლის შედეგად გამოიყო იარაღის ხუთი სახე-ეობა: ურო, საპეგვ-სატეხი, სანაყი, კომბინირებული და დამხ-მარე იარაღი.

უროები ძირითადად დამზადებულია ანდეზიტისა და გრან-ოდიორიტისგან.

ზომისა და წონის მიხედვით გამოიყოფა უროების ორი ტიპი:

პირველი ტიპის უროებში (სურ. 7b, 8b, 9b) ერთიანდებიან საშუალო ზომის ტიპური სამთო წარმოებისათვის დამახა-სიათებელი იარაღები. მათ ერთ ნაწილს ბუნებრივი ფორმა აქვს, მეორე კი წინასწარ არის დამუშავებული და ხელოვნურად აქვს ფორმა მიცემული. გვხვდება როგორც ოთხკუთხა, ასევე მრგ-ვალი ფორმის მქონე უროები. მათი საშუალო წონა 2.0-დან 4.0 კგ - მდე მერყეობს. ტარის დაგების ტექნიკის მიხედვით ამ ტიპის იარაღებს ახასიათებთ, როგორც მცირე ზომის ჭდეები იარაღის გვერდებზე, რომლებიც დატანილია შუა ნაწილში, ასევე სარტყელი, რომელიც ხშირად იარაღს უწყვეტად შემოუყვება ირგვლივ (რაჭა. კატალოგის №№7-36, 40, 64-66, 68).

მეორე ტიპში გაერთიანებულია მცირე ზომის უროები, რომელთაც არ გააჩნიათ ტარის დასამაგრებელი სარტყელი ან ჭდე (ლარი). ისინი ხელით სამუშაო იარაღს წარმოადგენდნენ. მათი გამოყენება შეიძლება დაკავშირებული იყოს როგორც მაღნის მონგრევა - მოპოვებასთან, ასევე მაღნის გამდიდრება - დანაყვასთან (რაჭა. კატალოგის №№37-38, 41-45).

საპეგვ-სატეხებში (სურ. 7a, 8a, 9a) ერთიანდებიან უჩვე-ულო ფორმის იარაღები. საქართველოს სამთო წარმოების სხვა ძეგლებზე მსგავსი ტიპის იარაღების აღმოჩენის ფა-ქტები არ დასტურდება. ეს იარაღი სხვა იარაღებისგან გამ-ორჩევა ფორმითა და ტარის დაგების განსხვავებული ტექნი-კით. იარაღის ერთი მხარე ბრტყელია და ოვალური, მეორე კი ვიწრო და წაგრძელებული. როგორც ჩანს, იარაღი ხის გრძელ ტარზე მაგრდებოდა ბრტყელი მხრით. იარაღისა და ხის ტარის ძირითად დამაკავშირებელ ნაწილს კი ქვის იარაღის ვიწრო და გრძელი ნაწილი წარმოადგენდა. ქვის ზედაპირი განსაკუთრე-ბით კი მისი წაგრძელებული ნაწილი კარგად არის დამუშავე-ბული. ამ ნაწილში იარაღს დატანილი აქვს ტარის დასამაგრე-ბლად განკუთვნილი სპეციალური სარტყელი. მსგავსი ტიპის

იარაღები საკმაოდ იშვიათად გვხვდება მსოფლიო სამთო წარმოების ძეგლებზე (რაჭა. კატალოგის №№ 1-6).


სანაყები ძირითადად მაგარი ჯიშის რიყის ქვისგან არის დამზადებული. გვხვდება ორი ტიპის სანაყი:

ჰირველი ტიპის სანაყებისათვის (სურ. 10) დამახასიათებელია გრძელი მოყვანილობა და ერთი ან ორი სამუშაო პირი (რაჭა. კატალოგის №№ 60-63).

მეორე ტიპში ერთიანდებიან მცირე ზომის, მრგვალი სანაყები, რომელთა შემთხვევაში სამუშაო პირად იარაღის მთლიანი ზედაპირია გამოყენებული (რაჭა. კატალოგის №№ 47-48, 50).


კომპინირებული იარაღი წარმოდგენილია ერთი ეგზემპლარით. იგი გამოიყენებოდა როგორც სახესის, ასევე სანაყის ფუნქციით. იარაღის ერთი მხარე, რომლითაც, როგორც ჩანს, მაღნის ხეხვა ხდებოდა, მოსწორებული და გაცვეთილია ხშირი ხმარებისაგან (რაჭა. კატალოგის № 51).

დამხმარე იარაღებში გავაერთიანეთ სანაყები (სურ. 11), რომლებიც, როგორც ჩანს, სამთო წარმოების დროს მაღნის მოპოვებასთან პირდაპირ არ არის დაკავშირებული. მსგავსი იარაღები საკმაოდ მცირე ზომისაა და ხელის გულს სრულად ავსებს, აქვს ორი სამუშაო პირი და სამკუთხაგანივეკვეთიანია. მსოფლიოს სამთო წარმოებაში მსგავსი ტიპის იარაღები (სურ. 20) საკმაოდ იშვიათად არის აღმოჩენილი და მოხსენიებულია როგორც სამთო წარმოების იარაღის დამუშავების პროცესში გამოყენებული ინსტრუმენტები (O'Brien W. 2004: 351, Timberlake S. 2014: 37.) ვფიქრობთ, არმაზის არქეოლოგიურ საცავში დაცული მცირე ზომის სანაყები სწორედ ასეთი სახის ინსტრუმენტებს წარმოადგენენ. ისინი გამოიყენებოდნენ უროების დასამუშავებლად – მათზე ჭდეებისა და სარტყელის ამოსაკვეთად (რაჭა. კატალოგის №№ 46, 49, 52-55, 58-59).




სურ. 6. ქვის იარაღები. ჰყორნალიანის საბადო. მთიანი რაჭა (ღები-გონა).
(ინანიშვილი გ. 2010: 87)

Fig. 6. Stone implements. Tschkhornaliani mine. Racha (Ghebi-Gona).
(Inanisvili G. 2010: 87)



a.




b.




სურ. 7. სამთო წარმოების იარაღები რაჭიდან.


Fig. 7. Mining Tools from Racha.



a.




b.



სურ. 8. სამთო წარმოების იარაღები რაჭიდან.

Fig. 8. Mining tools from Racha.




სურ. 9. სამთო წარმოების იარაღები რაჭიდან.

Fig. 9. Mining tools from Racha.



სურ. 10. ქვის სანაფები რაჭის მაღაროებიდან.

Fig. 10. Stone pestles from Racha mines.



სურ. 11. დამსმარე დარალები. რაჭის მაღაროები

Fig. 11. Pecking implements. Racha mines.

კატალოგი
რაჭის მაღაროები²

CATALOGUE

RACHA MINES³



1. საბეგვ-სატეხი. ანდეზიტის, დამუშავებული, ოვალურგანივკვეთიანი, ცალი გვერდი ბრტყელი აქვს. სატარესარტყლით.

“Beater-pestle”. Andesite, oval, with agroove.
Length - 25.4 cm, width - 8.8 cm, width of the handle - 5.5 cm, weight - 1622 gr.



2. საბეგვ-სატეხი. ანდეზიტი, დამუშავებული, ოთხუთხაგანივკვეთიანი, ცალი გვერდი ბრტყელი აქვს. სატარეორი ჭდით.

“Beater-pestle”. Andesite, polygonal, with two notches.
Length - 23.8 cm, width - 12.3 cm, width of the hsndle - 6.3 cm, weight - 1630 gr.



3. საბეგვ-სატეხი. ანდეზიტი, ოვალურგანივკვეთიანი. სატარეორი ჭდით.

“Beater-pestle”. Andesite, oval, with two notches.
Length - 18.6 cm, Width - 12.5 cm, width of the handle - 3.5 cm, weight - 1238 gr.

2. ინახება არმაზის არქეოლოგიური ბაზაზე
3. Kept in Armazi Archaeological Base



4. საბეგვ-სატეხი. ანდეზიტი, დამუშავებული ოთხკუთხაგანივეთიანი, ცალი გვედრი ბრტყელი აქვს. სატარეორი ჭდით.

“Beater-pestle”. Andesite, polygonal, with two notches.

Length - 21.0 cm, Width - 6.8 cm, Width of the handle - 6.0 cm, Weight - 1274 gr.



5. საბეგვ-სატეხი. ანდეზიტი, გატეხილია, ოთხკუთხაგანივეთიანი. სატარეორი ჭდით.

“Beater-pestle”. Andesite, fragmented, polygonal, with two notches.

Weight - 502 gr.



6. საბეგვ-სატეხი. ანდეზიტი, გატეხილია, მრგვალგანივეთიანი, სატარეორი ჭდით;

“Beater-pestle”. Andesite, fragmented, oval, with two notches.

Weight - 688 gr.



7. ურო. გატეხილია, მრგვალგანივეთიანი, სატარეორი ჭდით;

Hammer. Fragmented, with two notches.

Length - 19.5 cm, Width - 10.8 cm, Weight - 1516 gr.



8. ურო. გატეხილია, დამუშავებული, მრგვალგანივეკვეთიანი, სატარე ორი ჭდით.

Hammer. Fragmented, oval, with two notches.

Length - 18.9 cm, Width - 10.5 cm,
Weight - 1230 gr.



9. ურო. გრანოდიორიტი, დამუშავებული, ოთხკუთხაგანივეკვეთიანი, ორი სამუშაო პირით. სატარე სარტყლითა და ერთი ჭდით.

Hammer. Granodiorite. polygonal, with a groove and a notch.

Length - 22.4 cm, Width - 13.1 cm,
Weight - 3004 gr.



10. ურო. გრანოდიორიტი, დამუშავებული, ოთხკუთხაგანივეკვეთიანი, ორი სამუშაო პირით. სატარე სარტყლით.

Hammer. Granodiorite. polygonal, with a groove.

Length - 16.5 cm, Width - 16.1 cm,
Weight - 3096 gr.



11. ურო. ორი სამუშაო პირით. ერთი სამუშაო პირი სამკუთხაგანივეკვეთიანია, ხოლო მეორე – ოთხკუთხაგანივეკვეთიანი. სატარე ორი ჭდით.

Hammer. Polygonal. With two working ends and two notches.

Length - 21.0 cm, Width - 12.5 cm,
Weight - 3250 gr.



12. ურო. გატეხილი, მრგვალგანივებეთიანი. სატარე სარტყლით.

Hammer. Fragmented, oval, with a groove.

Length - 17.0 cm, Width - 8.0 cm,
Weight - 1702 gr.



13. ურო. ანდეზიტი, დამუშავებული, მრგვალგანივებეთიანი, ორი სამუშაო პირით. სატარე სარტყლითა და მცირე ზომის ორი ჭდით.

Hammer. Andesite, oval, with two working ends and with a groove and two notches.

Length - 23.8 cm, Width - 10,0 cm,
Weight - 3550 gr.



14. ურო. გატეხილი, სამუშაო პირი დაკარგულია. ოთხუთხაგანივეთიანი. სატარე ჭდით.

Hammer. Fragmented, polygonal, with a notch.

Length - 22.0 cm, Width - 17.0 cm,
Weight - 2999 gr.



15. ურო. გრანიტიორიტი, გატეხილი, ოთხუთხაგანივეთიანი. სატარე ჭდით.

Hammer. Fragmented, polygonal, with a notch.

Length - 21.5 cm, Width - 10.0 cm,
Weight - 3388 gr.



16. ურო. გრანიტის მრგვალ-განივევეთიანი. სატარე სარტყლით.

Hammer. Granodiorite, oval, with a groove.

Length - 20.8 cm, Width - 17.0 cm,
Weight - 2999 gr.



17. ურო. გრანიტის მრგვალ-განივევეთიანი. სატარე ერთი სარტყლითა და მცირე ზომის სამი ჭდით.

Hammer. Granodiorite, polygonal, with a groove and three notches.

Length - 17.5 cm, Width - 11.0 cm,
Weight - 3256 gr.



18. ურო. ოთხუთხაგანივევეთიანი, ერთი სამუშაო პირით. სატარე სამი ჭდით.

Hammer. Polygonal, with three notches.
Length - 22 cm, Width - 14.6 cm, Weight
- 2332 gr.



19. ურო. ორი სამუშაო პირით. ერთი სამუშაო პირი მრგვალგანივევეთიანია, ხოლო მეორე – ოთხუთხაგანივევეთიანი. სატარე ოთხი ჭდით.

Hammer. With two working ends and four notches.

Length - 18.5 cm, Width - 11.0 cm,
Weight - 3000 gr.



20. ურო. დამუშავებული, მრგვა-
ლგანივცვეთიანი, ერთი სამუშაო პირით.
სატარე ორი ჭდით.

Hammer. Oval, with one working end
and two notches.

Length - 21.5 cm, Width - 16.0 cm,
Weight - 3008 gr.



21. ურო. დიაბაზი, გატეხილი, მრგვა-
ლგანივცვეთიანი, სატარე სარტყელით.

Hammer. Diabas, oval, with a groove.

Length - 22.0 cm, Weight - 2470 gr.



22. ურო. ანდეზიტი, ოთხუთხაგა-
ნივცვეთიანი, ერთი სამუშაო პირით. სა-
ტარე ჭდით.

Hammer. Andesite. Polygonal, with one
working end and a notch.

Length - 13.5 cm, Width - 14.4 cm,
Weight - 2412 gr.



23. ურო. ოვალურგანივცვეთიანი.
ორი სამუშაო პირით. სატარე სამი ჭდით.

Hammer. Oval, with two working ends
and three notches.

Length - 13.5 cm, Width - 14.4 cm,
Weight - 2412 gr.



24. ურო. ანდეზიტი, გატეხილია, მრგვალგანივევეთიანი. ერთი სამუშაო პირით. სატარე სარტყლითა და ჭდით.

Hammer. Andesite, fragmented, oval, with one working end; with a groove and a notch.

Length - 13.5 cm, Width - 14.4 cm,
Weight - 2412 gr.



25. ურო. ანდეზიტი, მრგვალგანივევეთიანი, ორი სამუშაო პირით. სატარე სარტყლით.

Hammer. Andesite, with two working ends and a groove.

Length - 17.5 cm, Width - 13.2 cm,
Weight - 2554 gr.



26. ურო. ანდეზიტი, გატეხილია, მრგვალგანივევეთიანი, ერთი სამუშაო პირით. სატარე ჭდით.

Hammer. Andesite, fragmented, oval, with one working end and a notch.

Length - 13.5 cm, Width - 14.4 cm,
Weight - 2412 gr.



27. ურო. ორი სამუშაო პირით. ერთი სამუშაო პირი ოთხეუთხაგანივევეთიანია, ხოლო მეორე სამეუთხაგანივევეთიანი. სატარე სამი ჭდითა და ერთი სატყელით.

Hammer. Polygonal, with two working ends; with a groove and three notches.

Length - 18.0 cm, Width - 13.0 cm,
Weight - 3540gr.



28. ურო. ანდეზიტი, ოთხუთხაგანივეთიანი, სამუშაო პირი დაკარგულია, ხოლო მეორე მხარე დაბრტყელებული და გაცვეთილია.

Hammer. Andesite, polygonal, with one working end.

Length - 22.0 cm, Width - 10 cm, Weight - 2962 gr.



29. ურო. დიაბაზი, დამუშავებული. ერთი სამუშაო პირი მრგვალგანივეთიანია, ხოლო მეორე ოთხუთხაგანივეთიანი. სატარე ორი ჭდით.

Hammer. Diabas, polygonal, with two working ends and with two notches.

Length - 17.5 cm, Width - 10.0 cm, Weight - 1794 gr.



30. ურო. გრანიტი, დამუშავებული, მრგვალგანივეთიანი, სატარე სარტყლით.

Hammer. Granodiorite, oval, with a groove.

Length - 15.7 cm, Width - 9.0 cm, Weight - 1422 gr.



31. ურო. გატეხილი, ოთხუთხაგანივეთიანი, სამუშაო პირი დაკარგულია. სატარე ჭდით.

Hammer. Fragmented, polygonal, with a notch.

Length - 22 cm, Weight - 2298 gr.



32. ურო. გრანიტის ფრენი. გატებილია, ოთხკუთხაგანივე გვეთიანი, სამუშაო პირი დაკარგულია. სატარე ორი ჭდით.

Hammer. Granodiorite, fragmented, polygonal, with two notches.

Length - 14 cm, Weight - 2136 gr.



33. ურო. გრანიტის ფრენი, გატეხილია, მრგვალგანივე გვეთიანია. სატარე ჭდით.

Hammer. Granodiorite, fragmented, oval, with a notch.

Length - 16.8 cm, Weight - 2064 gr.



34. ურო. მრგვალგანივე გვეთიანი, ერთი სამუშაო პირით. სატარე ორი ჭდით.

Hammer. Oval, with one working end and two notches.

Length - 24 cm, Weight - 2420 gr.



35. ურო. ანდეზიტი. მრგვალგანივე გვეთიანი, ორი სამუშაო პირით.

Hammer. Andesite, oval, with two working ends.

Length - 27 cm, Weight - 5850 gr.



36. ურო. ქვიშაქვა, დამუშავებული. ოთხკუთხაგანივკვეთიანი, ერთი სამუშაო პირით.

Hammer. Sandstone, oval, with one working end.

Length - 18.0 cm, Width - 13.8 cm,
Weight - 1780 gr.



37. ურო. გრანოდიორიტი. ოთხკუთხაგანივკვეთიანი. ორი სამუშაო პირით.

Hammer. Granodiorite, polygonal, with two working ends.

Length - 12.8 cm, Width - 9.0 cm,
Weight - 1828 gr.



38. ურო. გრანოდიორიტი, დამუშავებული, მრგვალგანივკვეთიანი, ორი სამუშაო პირით.

Hammer. Granodiorite, oval, with two working ends.

Length - 14.5 cm, Width - 12.3 cm,
Weight - 1758 gr.



39. ურო. გრანოდიორიტი. ორი სამუშაო პირით. ერთი სამუშაო პირი მრგვალგანივკვეთიანია, ხოლო მეორე კი ოთხკუთხაგანივკვეთიანი.

Hammer. Granodiorite, polygonal, with two working ends.

Length - 14.5 cm, Width - 9.9 cm,
Weight - 1800 gr.



40. ურო. გრანიტი, მრგვალური ფირფიტი, მაღალი სამუშაო პირით. ერთი სამუშაო პირი მრგვალგანივებულიანია, ხოლო მეორე კი ოთხკუთხაგანივებულიანია.

Hammer. Granodiorite, oval, with two working ends.

Length - 26.0 cm, Width - 12.0 cm,
Weight - 4010 gr.



41. ურო. ანდეზიტი. ოთხკუთხაგანივებულიანი, მცირე ზომის, მაღალი სამუშაო პირით.

Hammer. Andesite. Polygonal, with two working ends.

Length - 14.4 cm, Width - 10.8 cm,
Weight - 1568 gr.



42. ურო. ანდეზიტური ბაზალტი, მრგვალგანივებულიანი. მცირე ზომის, დაუმუშავებელი. ორი სამუშაო პირით;

Hammer. Andesitic basalt, oval, with two working ends.

Length - 15 cm, Width - 7.4 cm, Weight - 1942 gr.



43. ურო. გრანიტი, მრგვალური ფირფიტი, მაღალი სამუშაო პირით. საჭარე ორი ჭდით.

Hammer. Granodiorite, oval, with two working ends and two notches.

Length - 12.5 cm, Width - 8.0 cm,
Weight - 1368 gr.



44. ურო. გრანიტი, ოთხკუთხაგანივეთიანი, ორი სამუშაო პირით
Hammer. Granodiorite, polygonal, with two working ends.

Length - 14.5 cm, Width - 8.0 cm,
Weight - 1710 gr.



45. ურო. დიორიტი, მცირე ზომის,
დაუმუშავებელია. ორი სამუშაო პირით.
ერთი ოთხკუთხაგანივეთიანია, ხოლო
მეორე სამკუთხაგანივეთიანი.

Hammer. Diorite, polygonal with two working ends.

Length - 13.0 cm, Width - 11.5 cm,
Weight - 1080 gr.



46. დამხმარე იარაღი. დიორიტი. და-
მუშავებული. მუშაობის კვალი ეტყობა
თითქმის ყველა მხარს.

Pecking implement. Diorite.

dm - 10.5 cm, Weight - 1136 gr.



47. სანაყი. რიყის ქვა, მრგვალი, სა-
მუშაო პირად გამოყენებულია მთლიანი
ზედაპირი.

Pestle. Cobble stone, oval.

Weight - 1316 gr.



48. სანაყი. დიორიტი. მრგვალგანი-
ვკვეთიანი, დაბრტყელებული სამუშაო
პირებით.

Pestle. Diorite, oval, with flat working ends.

Weight - 524 gr.



49. დამხმარე იარაღი. ანდეზიტი.
სამკუთხაგანივკვეთიანი. ორი სამუშაო
პირით.

Pecking implement. Andesite, triangle square section, with two working ends.

Weight - 596 gr.



50. სანაყი. ანდეზიტი. მრგვალგა-
ნივკვეთიანი. ორი სამუშაო პირით.

Pestle. Andesite, oval, with two working ends.

Weight - 530 gr.



51. სახეხ-სანაყი. ბაზალტი. ერთი
მხარე ბრტყელი და გახეხილი აქვს. ორი
სამუშაო პირით.

“Pestle-grinder”. Basalt, with two working ends.

Weight - 212 gr.



52. დამხმარე იარაღი. ანდეზიტი.
სამკუთხაგანივკვეთიანია. ორი სამუშაო
პირით.

Pecking implement. Andesite, triangle
square section, with two working ends.

Weight - 422 gr.



53. დამხმარე იარაღი. ანდეზიტი.
მცირე ზომის, ოთხკუთხაგანივკვეთი-
ანი, ორი სამუშაო პირით.

Pecking implement. Andesite, polygonal,
with two working ends.

Weight - 600 gr.



54. დამხმარე იარაღი. ანდეზიტი.
ბრტყელი, გატეხილი.

Pecking implement. Andesite, frag-
mented.

Weight - 274 gr.



55. დამხმარე იარაღი. ანდეზიტი,
მრგვალგანივკვეთიანი, ორი სამუშაო
პირით.

Pecking implement. Andesite, oval, with
two working ends.

Weight - 362 gr.



56. ანატკეცი. ანდეზიტი. შესაძლოა
იყოს უროს ან სანაყის ანატკეცი. სა-
მუშაო პირის ნაწილი შემორჩენილია.

Flake. Andesite.

Weight - 182 gr.



57. ანატკეცი. ანდეზიტი. შესაძლოა
იყოს უროს ან სანაყის ანატკეცი. სა-
მუშაო პირის ნაწილი შემორჩენილია.

Flake. Andesite.

Weight - 114 gr.



58. დამხმარე იარაღი. ანდეზიტი.
ერთი სამუშაო პირით.

Pecking implement. Andesite, with one
working end.

Weight - 500 gr.



59. დამხმარე იარაღი. ანდეზიტი.
ორი სამუშაო პირით.

Pecking implement. Andesite, with two
working ends.

Weight - 498 gr.



60. სანაყი. ანდეზიტი, ბაზალტი. მრგვალგანივეკვეთიანი. ერთი სამუშაო პირით.

Pestle. Andesitic basalt, oval, with one working end.

Length - 10.2 cm, Weight - 600 gr.



61. სანაყი. ანდეზიტი. გატეხილი, მრგვალგანივეკვეთიანი, ერთი სამუშაო პირით.

Pestle. Andesite, with one working end.

Weight - 346 gr.



62. სანაყი. ანდეზიტი. მრგვალგანივეკვეთიანი, ორი სამუშაო პირით.

Pestle. Andesite, fragmented, with one working end.

Length - 15.0 cm, Weight - 732 gr.



63. სანაყი. ანდეზიტი. ორი სამუშაო პირით. ერთი სამუშაო პირი მრგვალგანივეკვეთიანია, ხოლო მეორე – ოთხკუთხაგანივეკვეთიანი.

Pestle. Andesite, oval, with two working ends.

Length - 20.0 cm, Weight - 1220 gr.



64. ურო. ანდეზიტი, მრგვალგანივეკვეთიანი, ერთი სამუშაო პირით.

Hammer. Andesite, oval, with one working end.

Length - 18.5 cm, Width - 9.4 cm,
Weight - 1342 gr.



65. ურო. ანდეზიტი, მრგვალგანი-
ვკვეთიანი. ერთი სამუშაო პირით.

Hammer. Andesite, oval, with one working end.

Length - 18.0 cm, Width - 8.0 cm,
Weight - 1068 gr.



66. ურო. დამუშავებული. ოთხ-
კუთხაგანივკვეთიანი. ორი სამუშაო
პირით.

Hammer. Polygonal, With two working ends.

Length - 17.0 cm, Width - 7.4 cm,
Weight - 1646 gr.



67. ნამზადი. ანდეზიტი. ოთხკუთ-
ხაგანივკვეთიანი.

Raw material. Andesite. Polygonal.

Weight - 1245 gr.



68. ურო. დიაბაზი, დამუშავებული,
ოთხკუთხაგანივკვეთიანი, ორი სა-
მუშაო პირით.

Hammer. Diabas, polygonal, with two working ends.

Length - 24.5 cm, Width - 10.7 cm,
Weight - 2410 gr.

III თავი სამორ მეტალურგიასთან დაკავშირებული იარაღები აზარასა და გურიაში

აჭარასა და გურიაში რკინის წარმოების არაერთი უნიკალური სამთო-მეტალურგიული ძეგლია დაფიქსირებული (ხახუტაიშვილი ნ., თავამაიშვილი გ. 2002: 34). მიკვლეულია რკინის არაერთი მეტალურგიის საწარმოო კერა, რომელთა არქეოლოგიურ-ტექნოლოგიური შესწავლა XX საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო (ინანიშვილი გ. 1996: 160).

ისტორიული კოლხეთის მთისწინა ზოლში შესწავლილია რკინის საწარმო-სახელოსნოთა მნიშვნელოვანი კერები, რომლებიც განლაგებულია ბათუმის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ჩოხატაურის, ოზურგეთისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე (ვალეშვილი გ. 1964: 38-51; ხახუტაიშვილი დ. 1964: 51). მათ შორის ყველაზე უფრო დატვირთული და ძლიერ საწარმოთა შემცველია სუფსა-გუბაზოულის სახელოსნოთა გაერთიანება, რომელიც გამოირჩევა სახელოსნო ობიექტების სიმრავლით (ინანიშვილი გ. 1996: 160).

რკინის საწარმოო კერები დაფიქსირებულია გონიოსა და ქობულეთ-ფიჭვნარის დიუნურ დასახლებასთან (ხახუტაიშვილი ნ., თავამაიშვილი გ. 2002: 34). ასევე, გვიანბრინჯაო-ადრე-რკინის ხანის მეტალურგიული წარმოების ნაშთები ცნობილია ვაშნარის, ხვაბრეთის და სხვა ნამოსახლარებზე (ჭანიშვილი თ., სადრაძე ვ. 1996: 47). დავით ხახუტაიშვილის მოსაზრებით, ამ ტერიტორიაზე დაფიქსირებული ლითონის საწარმოო კერების ნედლეულით სიმდიდრესა და მომარაგებას განაპირობებდა ვაკიჯვარ-ქარისბუდის პოლიმეტალური საბადოები და სუფ-საურეკის მდიდარი მაგნეტიკები (ხახუტაიშვილი დ. 1981: 36).

ბათუმისა და ოზურგეთის მუზეუმის ფონდებში დაფიქსირებული მასალა ძირითადად შემთხვევითი მონაპოვარია. ამიტომ, მათი დაკავშირება სამთო წარმოების კერებთან ძნელია. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ეს რეგიონი ცნობილია ლითონის უძველესი სახელოსნოებით და ლითონგამოსადნობი ქურებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მუზეუმებში გამოფენილი უროები რკინის


მეტალურგიასთან არის დაკავშირებული.

მაგალითისათვის, შეიძლება მოვიყვანოთ ჩაქვისწყლის ხეობის რეინის საწარმოო კერა, სადაც რეინის გამოსადობ ქურებთან ერთად დაფიქსირდა რიყის ქვისაგან დამზადებული სანაყები, ამბოსები, აგრეთვე ქვის უროები და სასრესები (სურ. 12) (ხახუტაიშვილი ნ., თავამაიშვილი გ. 2002: 36.). მდ. ოჩხომურის ორივე ნაპირას მიკვლეული რეინის სადნობი ქურების გათხრებამდე რიყის ქვის სანაყების მსგავსი იარაღები არ იყო აღმოჩენილი. დ. ხახუტაიშვილი თვლიდა, რომ ამ სანაყებს მაღნის საფქვავად იყენებდნენ (ხახუტაიშვილი დ. 1980: 3-38). თუმცა, მეცნიერთა ნაწილი, ფიქრობს რომ მაგნეტიკზე მომუშავე ქურების გათხრებისას მოპოვებული მსგავსი სანაყები (ასკანა IV, მზიანი I და II, მშვიდობაური I, ნაგომარი I რეინის სადნობი სახელოსნოები) დნობის დამაჩქარებელი, ანუ ხელშემწყობი ფლუსის დასაფქვავად უნდა გამოეყენებინათ (ხახუტაიშვილი ნ., თავამაიშვილი გ. 2002: 36).

რაც შეეხება ბათუმის არქეოლოგიისა და ოზურგეთის ისტორიის მუზეუმების ექსპოზიციებზე წარმოდგენილ ქვის იარაღებს, ისინი საკმაოდ მცირერიცხოვანია და არც მრავალფეროვნებით გამოირჩევიან.

ბათუმის არქეოლოგიის მუზეუმის ექსპოზიციაზე წარმოდგენილია ხუთი ქვის იარაღი (ტაბ. VII-VIII). ისინი წარმოადგენენ მცირე ზომის, ოვალურგანივეკვეთიან უროებს, რომელთაც შუა ნაწილში უწყვეტად შემოუყვებათ ტარის დასამაგრებლად განკუთვნილი სარტყელი.

ოზურგეთის ისტორიის მუზეუმის ექსპოზიციაზე წარმოდგენილია ანდეზიტისა და გრანიტიორიტისაგან დამზადებული ოთხი ურო (ტაბ. IX-X). ორი მათგანი ითხეუთხაგანივეკვეთიანია, დაბრტყელებული სამუშაო პირით. ხოლო დანარჩენი ორი კი წარმოადგენს ოვალურგანივეკვეთიან უროს, რომელსაც ოდნავ წაგრძელებული ერთი სამუშაო პირი გააჩნია. უროებს შუა ნაწილში შემოუყვება ტარის დასამაგრებელი უწყვეტი სარტყელი.



სურ. 12. ქვის სანაფები და როდინები. აჭარა.
(ხახუტაიშვილი ნ. და სხვ. 2002: 40)

Fig. 12. Stone mortars and pestles from metallurgical centres. Achara
(Khakhutaishvili N. et. all. 2002: 40)

IV თავი

სამთო ნარმოების იარაღის საყდრისის ოქონს გაღარმდან

საყდრისის სამთო გამონამუშევრების კომპლექსი (ტაბ. II, 1) მდებარეობს სამხრეთ საქართველოში, ისტორიული ქვემო ქართლის ტერიტორიაზე, ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტების გასაყარზე, მდ. მაშავერას მარცხენა მხარეს, იქ სადაც მდ. მაშავერას კაზრეთის ხევიდან ჩამომავალი მდ. კაზრეთის წყალი უერთდება. ეს მცირე ზომის მთა, რომელიც „მადნის მთის“ სახელით არის ცნობილი, ნაწილია მთათა სისტემისა, რომელსაც დღეს საყდრისის მადნიან ველს უწოდებენ (ლამბაშიძე ირ. და სხვ. 2007: 4).

მცირე კავკასიონის ამ მონაკვეთზე რამდენიმე მასიური, სულფიდური გამონამუშევარია დადასტურებული და დღეს უმეტესწილად პოლიმეტრალები (სპილენდი, რკინა, ოქრო და სხვა.) მოიპოვება (ხარატიშვილი მ. 1990).

ამ ტერიტორიაზე მადნის მოპოვება აფხაზეთის, რაჭისა და სვანეთისგან განსხვავებით წელიწადის ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი. ტერიტორია ადვილად მისადგომია, რაც ხელს უწყობდა მიმოსვლას ანატოლიასა და სამხრეთით მდებარე სხვა რეგიონებთან (ლამბაშიძე ირ. და სხვ. 2010: 56).

ძეგლიდან რამოდენიმე ასეული მეტრის მოშორებით მდებარეობს სილიფიცირებული რიოლითური ტუფისა და იგნიმბრიტებისაგან აგებული ბორცვი. ამ ვულკანური ქანების წყობაში დალექილია სხვადასხვა მიმართულების ჰიდრომეტრიული კვარცის ძარღვები; ეს არის ტიპური, გეომეტრიული კომპლექსური სართულებიანი გამადნება. ჰიდროთერმულმა პროცესებმა გამოიწვიეს ქანების წყობის სილიფიცირება კვარცის ძარღვების მიდამოებში. წარმოდგენილი ქანი ხასიათდება თავისი სიმკვრივით (Hauptmann A. 2011: 177-178).

შუა საუკუნეების წერილობით წყაროებში ეს ადგილი მოხსენიებულია სოფ. აბულმუგის სახელით. აბულმუგში ორი ნასოფლარია: ერთი მადნის გორის სამხრეთი ფერდის ძირას, შარაგზის მახლობლად, მეორე კი იმავე გორის ჩრდილო კალთის ძირას, წყაროსთან (ლამბაშიძე ირ. და სხვ. 2010: 56).

1950-იან წლებში ბოლნისის მუნიციპალიტეტში სამთო-არქეოლოგიური დაზვერვები ჩაატარა არქეოლოგმა იოსებ გძელიშვილმა, რომელიც წერდა, რომ ბოლნისის რაიონში სპილენძის მეორადი გამადნება ზედაპირზე მხოლოდ სამ ადგილასაა ცნობილი - წითელსოფელში, ქვემო ბოლნისთან და აბულმუგში. ის აღნიშნავდა, რომ ძველი გამონამუშევრები აღმოჩენილია წითელსოფლის მიდამოებში, „მადნეულის გორის“ სამხრეთ კალთაზე და აბულმუგში, სადაც ფუჭი ქანების სქელ ფენასთან ერთად დაფიქსირდა ნახშირის ფრაგმენტები, ნაცარი და ათეულობით ურო; უროები დამზადებულია მაგარი ჯიშის მოგრძო რიყის ქვებისგან, რომლებზეც კარგად ჩანს ინტენსიური ხმარების კვალი და ნელზე ხელოვნურად ამოკვეთილი სახელურის და-სამაგრებელი სარტყელი (გძელიშვილი ი. 1967: 248).

XX საუკუნის 80-იან წლებში საყდრისსა და აბულმუგში სამუშაოები ჩაატარა სამთო ინჟინერმა თეიმურაზ მუჯირმა. გამოაქვეყნა ანგარიში, გამონამუშევრების ანაზომები და ფოტოსურათები. სამთო სადაზვერვო სამუშაოები საყდრისში 1980-იანი წლების ბოლომდე მიმდინარეობდა. თეიმურაზ მუჯირი აღწერს აქ მიკვლეულ ძეველ მაღაროებსა და ფუჭი ქანების ნაყარებს. ასევე მოაქვს სამთო წარმოებაში გამოყენებული უროების ტიპოლოგია. პირველად სწორედ თ. მუჯირი ვარაუდობს ამ ადგილზე უძველესი ოქროს გამონამუშევრების არსებობას. საქართველოსა (რაჭა, აფხაზეთი) და სომხეთის (სოდი) სხვა მაღაროებიდან მოპოვებული უროების საფუძველზე იგი ამ მაღაროს ძვ. Ⅱ ათასწლეულით ათარიღებს. იგი თვლიდა, რომ საყდრისში აუცილებელი იყო არქეოლოგიური კვლევა-ძიების ჩატარება, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ პრეისტორიულ ხანაში და ანტიკურ საქართველოში უდიდესი როლი უნდა ეთამაშა არა მარტო ალუვიურ (ქვიშრობულ) ოქროს, არამედ, ასევე, ოქროს სამთო წესით მოპოვებასაც (Муджири Т. и др. 1987).

ბოლნისში და განსაკუთრებით კაზრეთის დაბლობში, ძველი საბადოებისადმი მიძღვნილ ყველა სტატიაში აშკარად ჩანს, რომ საყდრისის ოქროს მაღარო XX საუკუნემდე პრაქტიკულად დავიწყებული იყო. პირველად, 1970-იანი წლებიდან ხელახლა გაჩნდა ეკონომიკური ინტერესი იქროს შემცველი მადნის ძარღვები-სადმი და გეოლოგები შეეცადნენ დაეწყოთ მისი რენტაბელური

მოპოვება (ლამბაშიძე ირ. და სხვ. 2010: 58).

2004-2014 წლებში საყდრისისა და ძეძვებ-პალიფების სამთო მეტალურგიული კომპლექსის ტერიტორიაზე მუშაობდა ქართულ-გერმანული ექსპედიაცია (ხელმძღვანელები: ირ. ლამბაშიძე და თ. შტოლნერი).

ქართულ-გერმანული ექსპედიციის მიერ ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ საყდრისის მაღარო წარმოადგენს ოქროს წარმოების უძველეს კერას, რომელიც ძვ.წ. IV-III ათასწლეულებით თარიღდება (ლამბაშიძე ირ. და სხვ. 2010: 85).

არქეოლოგიური გათხრები ნათლად წარმოაჩენს, რომ მადნის გამდიდრების პირველი და მეორე ეტაპი მაღაროს შესასვლელ-ებთან უნდა განხორციელებულიყო (ირ. რამბაშიძე, გ. მინდიაშვილი და სხვ. 2010).

გარდა უროებისა აქ აღმოჩენილია სხავდასხვა სახეობის ქვის იარაღი, რომელიც მადნის გამდიდრებისათვის იყო განკუთვნილი. საყდრისის ოქროს მადნის გადასამუშავებლად, საფევნელად და გასამდიდრებლად გამოიყენებოდა ქვის საფქვავები, სასრეგები, ამბოსები და სანაყი ქვები.

ოქროს მადნის შემდგომი დამუშავება და მისგან ლითონის მიღება კი უკვე დასახლების ტერიტორიაზე უნდა მომხდარიყო. ამის დასტურია ბალიჭ-ძეძვების არქეოლოგიური გათხრები (Stöllner T., Gambashidze I. 2011: 193-196).

არქეოლოგიურმა გათხრებმა აჩვენა, რომ ძეძვების ნამოსახლარი საყდრისში მომუშავე იმ მთამადნელთა დასახლება უნდა ყოფილიყო, რომლებიც ძვ.წ. IV-III ათასწლეულების მიჯნასა და მომდევნო პერიოდში საყდრისის ტერიტორიაზე ოქროს მადანს მოიპოვებდნენ (Stöllner T. et. all. 2008: 276-278).

საყდრისისა და ბალიჭ-ძეძვების ნამოსახლარზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულია სამთო წარმოებასთან დაკავშირებული ქვის, ძვლისა და ობსიდიანის იარაღები (ტაბ. XI-XII).

ქვის იარაღები საკმაოდ მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანია. შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოს არცერთ პრეისტორიული ხანის სამთო წარმოების ძეგლზე, მსგავსი რაოდენობის ქვის ინსტრუმენტები არ არის ცნობილი. აქ დაფიქსირებული იარაღების რაოდენობა დაახლოებით ათი ათასია (Stöllner T. et. all. 2014:93). ისინი გამოირჩევიან როგორც ზომით და ფორმით,

ასევე, ფუნქციისა და ტარის დაგების ტექნიკით. გვხვდება სხვა-დასხვა ჯიშის ქვებისგან დამზადებული უროები, სახებ-საფქვა-ვები, სახებ-სასრესები, სანაყები და ამბოსები (ლამბაშიძე ირ. და სხვ. 2010: 75). უროები ტარის დაგების ტექნიკითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ტარის დასაგებად ქვაზე ძირითადად სამი ღარია დატანილი, თუმცა გვხვდება უფრო მეტი ღარიც (მაქსი-მალური რაოდენობა ექვსი). ქვის იარაღებზე ტარის დასამაგრებლად ხშირად კონცენტრული ღარია ამოკვეთილი, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ეს სარტყელი შეკრული არ არის და შესაბამისად ის გრძელ ღარს წარმოადგენს. უროებზე ძირითადად იარაღის ორივე მხარე გამოიყენებოდა მუშაობის პროცესში. სამუშაო პირები გვხვდება როგორც ბრტყელი – თოხისებური, ასევე, წერაქვისებური ფორმისა. ზოგიერთი უროს სამუშაო პირი ოთხუთხა ან მრგვალგანივევეთიანია და ჩაქუჩისებური ფორმა აქვს. ასეთი ტიპის უროები სანაყების ფუნქციითაც იხმარებოდა. მადნის გასამდიდრებელი იარაღების ტიპოლოგიაც საკმაოდ მრავალფეროვანია. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ერთი იარაღი ორი ან რამდენიმე ფუნქციის მატარებელია (Stöllner T. et. all. 2014: 93).

ქართულ-გერმანულმა ექსპედიციამ შეიმუშავა აქ მოპოვებული ქვის იარაღების ზოგადი ტიპოლოგია, რომელიც შეადგინა თომას შტოლნერმა (Stöllner T. et. all. 2007: 119, 133. Stöllner T. 2005: 15. ღამბაშიძე ირ. და სხვ. 2010: 75, 83). ფორმისა და ზომის მიხედვით გამოიყო ოთხი ტიპის ურო:

პირველ ტიპში ერთიანდება ბრტყელი ფორმის ოთხუთხა ან მრგვალგანივევეთიანი უროები. მათი სამუშაო პირი ხშირ შემთხვევაში ბრტყელი ან ჩაქუჩისებურია. იარაღის დამუშავებისა და ტარის დაგების ტექნიკის მიხედვით ორი ქვეტიპი გამოიყოფა. პირველი ქვეტიპი წარმოადგენს იარაღს, რომლისთვისაც შერჩეულია ქვის სასურველი ფორმა და წინასწარი დამუშავების გარეშეა ის გამოყენებული სამთო საქმეში. მეორე ქვეტიპში კი ერთიანდება იარაღები, რომელთა ზედაპირი კარგად არის დამუშავებული და ბუნებრივ ქვას სასურველი ფორმა აქვს მიცემული. ორივე ქვეტიპის იარაღზე ფიქსირდება ტარის დასამაგრებლად განკუთვნილი სპეციალური ჭდე ან სარტყელი.

მეორე ტიპის უროებისათვის დამახასიათებელია ოვალურგანივევეთიანი მოგრძო ფორმა. ამ ტიპის იარაღები ძირითა-

დად საშუალო ზომისა და წონისაა.

მესამე ტიპში გაერთიანებულია მასიური უროები. მათი გამოყენება, როგორც ჩანს უკავშირდებოდა მადნის ზედაპირის დამუშავებას – მის ბეგვასა და სამუშაოების შემდგომი ეტაპებისათვის მომზადებას. პირველი ტიპის მსგავსად აქაც გვხვდება როგორც დამუშავებული, ასევე დაუმუშავებელი ზედაპირის მქონე ეგზემპლარები, რომელთაც ამკობთ ტარის დასამაგრებლად განკუთვნილი სპეციალური ჭდე (ლარი) ან სარტყელი. ზოგიერთ შემთხვევაში კი ერთი იარაღი ტარის დაგების ორივე ტექნიკის მატარებელია.

მეოთხე ტიპის უროებში ერთიანდება საკმაოდ მცირე ზომის ხელსაწყოები, რომელთა სამუშაო პირები ძირითადად ბრტყელი – თოხისებურია. უმეტეს შემთხვევაში ამ ტიპის იარაღი წინასწარ არის დამუშავებული და მიცემული აქვს სასურველი ფორმა.

მადნის გასამდიდრებელ იარაღებში გვხვდება ამბოსები, სანაყები, საფეხვავები, ხელსაფეხვავები. ისინი ხშირად მრავალი ფუნქციის მქონე იარაღებს წარმოადგენენ (ლამბაშიძე ი. და სხვ. 2010: 63).

ძვლის იარაღები აღმოჩნდა საყდრისის პრესიტორიული სანის 1/2 და 1/3 მაღაროებში (ტაბ. II, 2) (ლამბაშიძე ი. და სხვ. 2010: 68, 71, 73, 81).

ძვლის იარაღები აღმოჩნდა მაღაროების ხუთ ჰორიზონტში (კონტექსტი 23003, 22010, 20011 დ, 24035, 24034). აღმოჩენილი შვიდი იარაღიდან ხუთი საქონლის ნეკნისგანაა დამზადებული, ერთი სხივის ძვლისა და ერთი კი ირმის რქის მორჩისგან (ტაბ. 19). ფუნქციის მიხედვით გვხვდება სახვრეტი, წერაქვი და საფხევი.

საფხეკები (№3132, 5226/27, 5261, 5265, 5318,) დამზადებულია ცხვოველის ნეკნისგან. ისინი წარმოადგენენ უტარო კომბინირებულ იარაღებს. სამუშაოდ გამოყენებულია, როგორც იარაღის კიდეები, ასევე მისი ერთი გვერდი.

სახვრეტი (№3369) დამზადებულია საქონლის სხივის ძვლის-გან, რომლის სამუშაო პირი მომრგვალებული და გაპრიალებულია.

წერაქვი (№5160) წარმოადგენს იარაღის ნამზადს, რომელიც ირმის რქის მორჩისგან არის დამზადებული.

სამხრეთ კავკასიისა და ზოგადად საქართველოს სამთო წარ-

მოების ძეგლებზე ძვლის იარაღები ჯერჯერობით მხოლოდ საყდრისის მაღაროშია დაფიქსირებული. ამიტომ, ჩვენთვის მეტად საინტერესოა მათი ფუნქციისა და როლის დადგენა სამთო წარმოებაში. მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარებზე ნეკნისგან დამზადებული იარაღები საერთოდ არ ფიქსირდება. ნეკნისგან დამზადებული იარაღები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი შულავერ-შომუთეფეს კულტურის ძეგლებზე არუხლოს, იმირის გორის, ხრამის დიდი გორის და შულავერის გორის ნამოსახლარებზე (კილურაძე თ. 1976: 51-84), თუმცა მათი გამოყენება სამთო წარმოებას არ უკავშირდება.

ობსიდიანის იარაღები (ტაბ. XXII) დაფიქსირებულია საყდრისის პრეისტორიული ხანის გამონამუშევრებში, სამუშაო მოედანზე და ფუჭ გადანაყარ ქანებში. ისინი წარმოდგენილია სახოკ-საფხეკებისა და საფართოების სახით.

ობსიდიანისგან დამზადებული იარაღები საქართველოში გათხრილ პრეისტორიული ხანის ძეგლებზე მრავლადაა დაფიქსირებული. შრომის იარაღებში აღსანიშნავია საფხეკები, საფართები, დანისებური ლამელები, თავრეტუშიანი ლამელები, საჭრისები, ასტამისებური იარაღები, დანები, ნამგლისპირები და სხვ. მსგავსი იარაღები დაფიქსირებულია, როგორც შულავერ-შომუთეფეს ასევე მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე. ამ ნამოსახლარებზე აღმოჩენილი ობსიდიანის იარაღები გამოიყენებოდა ძვლის, ხისა და ტყავის დასამუშავებლად (ნებიერიძე ლ. 2010).

V თავი ქვის უროები მარილის მაღაროებიდან

საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიურ ფონდებში საკმაოდ საინტერესო ქვის კოლექციაა დაცული. კოლექცია წარმოდგენილია 24 ცალი ქვის იარაღით, რომელიც მოპოვებულია XIX ბოლოს სამხრეთ კავკასიისა და თურქეთის ტერიტორიაზე. XX საუკუნის დასაწყისში კი ეს იარაღები გამოფენილი იყო კავკასიის მუზეუმის ექსპოზიციაზე (Радде Г. 1902: 192). თავის დროზე გამოფენის ხელმეორედ გახსნის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო გუსტავ რადე, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ამ იარაღების აღმოჩენაში. იარაღები აღმოჩენილია მარილის საბადოებში – აზერბაიჯანსა (ნახიჩევანი და ჰელენენდორფი) და თურქეთში (კულპი). აზერბაიჯანში მდებარე ნახიჩევანის საბადო საკმაოდ ცნობილ პრეისტორიული ხანის მარილის მომპოვებელ კერას ნარმოადგენს (Marro C. et. all. 2010: 229). აქ მარილის წარმოება ადრე ბრინჯაოს ხანაში იწყება, და შესაძლოა უფრო ადრეც, რასაც მონმობს აქ აღმოჩენილი ამ პერიოდის კერამული ნაწარმი. აზერბაიჯანულ-ფრანგულმა ექსპედიციამ, რომელიც ამ ძეგლზე მუშაობს, დააფიქსირა მარილის მადნის მოსაპოვებელი უამრავი ურო (ტაბ. XXVII) (Marro C. et. all. 2010: 242). ჰელენენდორფი (დღევანდელი გოიგოლი) მდებარეობს ჩრდილოეთ აზერბაიჯანში, რომელიც გერმანელი ემიგრანტების მიერ დაარსებული ქალაქია (Hummel J. 2013: 40). მარილის საბადოების არსებობა დღესდღეობით ამ ტერიტორიაზე არ არის დადასტურებული. რაც შეეხება კულპს (დღევანდელი დუზლუცა), ის მდებარეობს თურქეთის ტერიტორიაზე, აღმოსავლეთ ანატოლიაში, სადაც მარილის მოპოვება დღესაც მიმდინარეობს, ხოლო უძველესი საბადოები აქ ადრე შეუ საუკუნეებიდან არის ცნობილი (Sinclair. T. 1987: 406).

კავკასიის მუზეუმის ქვის კოლექცია, რომელიც მარილის საბადოებს უკავშირდება ძალიან საინტერესო და დიდი ინფორმაციის შემცველია. პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ იარაღების უმეტესობა, და შეიძლება ითქვას 99% წარმოდგენილია მაღალტექნოლოგიურად დამუშავებული და მოდიფი-

ცირებული იარაღების სახით. სავარაუდოა, რომ XIX საუკუნის ბოლოს ზემოთ აღნიშნული მარილის საბადოების დაზვერვების დროს ადგილზე სხვა მრავალი იარაღი უნდა ყოფილიყო (ამას მოწმობს თუნდაც დღესდღეობით ნახიჩევანში აღმოჩენილი მარილის მოსაპოვებელი მრავალი იარაღის აღმოჩენა), თუმცა ნაკლებად დამუშავებული და გამოფენისათვის არამიმზიდველი. ამიტომაც ისინი ვერ მოხვდნენ კავკასიის მუზეუმის კოლექციების რიგებში. არტეფაქტების მსგავსი სელექცია დამახასიათებელია არქეოლოგიური აღმოჩენების ეპოქის საწყისებთან. მკვლევარები მხოლოდ ისეთ ნივთებსა და არტეფაქტებს ირჩევდნენ, რომელიც ლამაზი და მიმზიდველი იქნებოდა დამთვალიერებლისათვის და ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ნივთის მეცნიერულ ღირებულებას. განსაკუთრებით ეს ეხება ქვის ინდუსტრიას. სწორედ ამიტომაა, რომ საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდებში დაცული მარილის მადნის მოსაპოვებელი ქვის იარაღები დამუშავების ტექნიკით, ფორმით და ვიზუალურად გამოიჩინა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მარილის საბადოებში გამოყენებული იარაღები სრულიად განსხვავდებიან ლითონის მაღაროებში გამოყენებული იარაღებისგან. მარილის მაღაროებში დაფიქსირებულ უროებს ახასიათებთ ტარის დაგების განსხვავებული ტექნიკა და სამუშაო პირის მოყვანილობა. მსოფლიოში აღმოჩენილი მარილის პრეისტორიული ხანის საბადოებზე საუბარი უფრო ვრცლად VII თავში გვექნება.

კავკასიის მუზეუმის კოლექციაში დაცულ იარაღებში ფორმისა და ფუნქციის მიხედვით ხუთი ტიპი გამოიყო:


პირველ ტიპში გავაერთიანეთ მცირე ზომის უროები, რომლებიც ფორმითა და ტარის დაგების ტექნიკით ძალიან ჰგავს ტიპურ სამთო წარმოებაში გამოყენებულ უროებს. პირველ ტიპში გამოიყო ორი ქვეტიპი. I ქვეტიპი წარმოადგენს შედარებით დიდი ზომის უროებს. მათ აქვთ ოვალური მოყვანილობა და ორი სამუშაო პირი. ტარის დასამაგრებლად განკუთვნილი სპეციალური სარტყელი იარაღს შუა ნაწილში უწყვეტად შემოუყვება (კატალოგის №№ 10-12, სურ. 14b, 16b). მეორე ქვეტიპში გაერთიანებული იარაღები პირველ ქვეტიპთან შედარებით მცირე ზომისაა. მათი ერთი გვერდი დაბრყელებულია, რომლითაც სავარაუდოდ ტარზე მაგრდებოდა, ხოლო ტარის დასამაგრებლად განკუთ-



a.



$\frac{0}{1} - \frac{2}{2}$





b.





$\frac{0}{1} - \frac{2}{2}$

სურ. 13. ქვის იარაღები მარილის საბადოებიდან


Fig. Stone tools from salt mines





სურ. 14. ქვის იარაღები მარილის საბადოებიდან
Fig. 14. Stone tools from salt mines.



სურ. 15. ქვის იარაღები მარილის საბადოებიდან.
Fig. 15. Stone tools from salt mines.



a.



b.



სურ. 16. ქვის იარაღები მარილის საბადოებიდან

fug. 16. Stone tools from salt mines

ვნილი სარტყელი არ არის სრულად შემოვლებული იარაღის ზედაპირზე (კატალოგის №№9, 20). ტარის დაგების ტექნიკის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პირველ ქვეტიპში გაერთიანებული იარაღებისათვის ტარის ფუნქციას ასრულებდა ბანარი, ხოლო მეორე ქვეტიპის შემთხვევაში ტარისათვის გამოიყენებოდა ხის მასალა. ბანარზე იარაღის დამაგრების მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ მსგავსი სამთო წარმოების იარაღებით მუშაობის რეკონსტრუქცია (ტაბ. XXIII, III), რომელიც ბრიტანელ არქეოლოგს ს. თიმბერლეიკს აქვს გაეკეთებული (Timberlake S. 1988: 167;), ხოლო ხის ტარზე დასამაგრებელი იარაღის ტიპები აღმოჩენილია აუსტრიაში დაფიქსირებულ მაღაროებში (Reiser B., Schrattenthaler H. 2004: 85).

მეორე ტიპი. მასიური უროები (კატალოგის №№2, 19, 23). ამ ტიპში გაერთიანებულია სამი ეგზემპლარი, რომელიც საკმაოდ დიდია როგორც ზომის, ასვევე წონის მიხედვით. მათი წონა მერყეობს 8.0-დან 15.0 კგ-მდე. ამ ტიპის იარაღებს ერთი გვერდი დაბრტყელებული აქვს და ტარის დასამაგრებლად განკუთვნილი სარტყელი, რომელიც ორ შემთხვევაში იარაღს ერთ მხარეს სრულად შემოსდევს, ხოლო მეორე მხარეს ნაწილობრივ ვრცელდება. ერთ ეგზემპლარს კი მთლიან ზედაპირზე უწყვეტად შემოუყვება. ტარის დასამაგრებელი სარტყელი ამ ტიპის იარაღებს არა შუაში, არამედ იარაღის განაპირა ნაწილზეა დატანილი. ასეთ იარაღებს მხოლოდ ერთი სამუშაო პირი აქვთ.

მესამე ტიპი. უროები მრავალი ღარით. ამ ტიპის იარაღებში გავაერთიანეთ ორი ეგზემპლარი, რომელთაც ამკობთ ტარის დასამაგრებლად განკუთვნილი განსხვავებული ტიპის ჭდე ან სარტყელი. ერთ შემთხვევაში იარაღს ამკობს ერთი სარტყელი, რომელიც იარაღს უწყვეტად შემოუყვება განაპირა ნაწილში, ხოლო მეორე მცირე, არასრული სარტყელი დატანილი აქვს არასამუშაო პირზე (კატალოგის №14, სურ. 16a). მეორე შემთხვევაში იარაღს დატანილი აქვს თითო-თითო ღრმა ჭდე (ღარი) განაპირა მხარეზე, ერთიც არასამუშაო პირზე (კატალოგის №17. სურ. 13a).

მეოთხე ტიპი. კომბინირებული იარაღი (კატალოგის №15). ამ ტიპის იარაღი წარმოდგენილია ერთი ეგზემპლარის სახით, რომელიც ორი ფუნქციის მატარებელია – ამბოსისა და უროსი. უროს ფუნქციის მაუწყებელია იარაღის ორი სამუშაო პირი და

ტარის დასამაგრებლად განკუთვნილი ორი ჭდე, იარაღის შუა ნაწილში. მადნის გასამდიდრებელი ფოსოები კი იარაღს დატანილი აქვს ორივე მხარეს (სურ. 13b).

მესუთე ტიპი. ტიპური მარილის მადნის მოსაპოვებელი უროები. ფორმით ყველა სხვა ტიპისაგან განსხვავებული ეგზემპლარებია. ამ ტიპის იარაღი წარმოადგენს ოთხკუთხაგანივეთიან ან ოვალურგანივეთიან იარაღს, რომელიც სამუშაო პირისკენ მკვეთრად ვიწროვდება. ფორმისა და ტარის დაგების ტექნიკის მიხედვით გამოიყო ორი ქვეტიპი. პირველ ქვეტიპში გაერთიანებულია იარაღები, რომელთათვისაც დამახასიათებელია მომრგვალებული სამუშაო პირი და ტარის დასამაგრებლად განკუთვნილი სარტყელი – სრული ან ნაწილობრივი (კატალოგის №№4-6, 8. სურ. 14 a). მეორე ქვეტიპის იარაღები კი წარმოდგენილია უროებით, რომელთაც გააჩნიათ მკვეთრად მომრგვალებული და წვეტიანი სამუშაო პირი. რაც შეეხება ტარის დაგების ტექნიკას, მსგავს იარაღებს გააჩნიათ ერთმაგი ან ორმაგი არასრული სარტყელი, იარაღის ორივე მხარეს. ტარის დასამაგრებელი სპეციალური სარტყელი, ორივე ქვეტიპის უროებს, დატანილი აქვთ იარაღის განაპირა ნაწილში (კატალოგის №№1, 7, 13, 16, 18, 24. სურ. 15).

კატალოგი
კავკასიის მუზეუმის კოლექცია¹

Catalogue
Collection of Caucasus Museum²



1. ურო. ინვ. №62. ანდეზიტი. ერთი სა-
მუშაო პირით. ოთხკუთხაგანივევეთიანი,
სამუშაო პირი მრგვალგანივევეთიანი.
სატარე ოთხი არასრული სარტყლით.

Hammer. №62. Andesite. Polygonal.
With one working end and four partly grooves.
Length - 14.5 cm, Width - 7.1 cm, Weight
- 1500 gr.



2. ურო. ინვ. №63. ანდეზიტი. მასიუ-
რი. ოთხკუთხაგანივევეთიანი. ერთი სა-
მუშაო პირით. სატარე სარტყლით.

Hammer. №63. Andesite. Massive, po-
lygonal, with one working end, with a groove.
Length - 35.3 cm, Width - 22.3 cm.



3. ურო. ინვ. №64. ანდეზიტური ბა-
ზალტი. მასიური. მრგვალგანივევე-
თიანი, ერთი სამუშაო პირით. სატარე
სარტყლით.

Hammer. №64. Andesitic basalt. Mas-
sive, oval, with one working end and a groove.
Length - 37.5 cm, Width - 27.0 cm.

4. ურო. ინვ. №65. ანდეზიტი. ოთხკუ-

1. ინახება ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს ისტორიის მუზეუმში

2. Kept in S. Janashia Historical Museum



თხაგანივევეთიანია, სამუშაო პირი
ოვალურგანივევეთიანი. სატარე
სარტყელით.

Hammer. №65. Andesite, polygonal,
with a groove.

Length - 17.0 cm, Width - 11.5 cm,
Weight - 3000 gr.



5. ურო. ინვ. №66. გატეხილი. ანდეზ-
იტი, ოთხკუთხაგანივევეთიანი. სატარე
ორი არასრული სარტყელით.

Hammer. №66. Andesite, fragmented,
with two partly grooves.

Length - 17 cm, Width - 11.5 cm, Weight
- 1100 gr.



6. ურო. ინვ. №67. ანდეზიტი. გა-
ტეხილი. ოთხკუთხაგანივევეთიანი,
ერთი სამუშაო ოვალურგანივევეთიანი
პირით. სატარე სარტყელით.

Hammer. №67. Andesite, fragmented,
polygonal, with one oval working end. With
a groove.

Length - 17 cm, Width - 11.5 cm, Weight
- 3000 gr.



7. ურო. ინვ. №69. ანდეზიტი. იარაღი
ოთხკუთხაგანივევეთიანი. ერთი ოვა-
ლურგანივევეთიანი სამუშაო პირით.
სატარე სარტყელით.

Hammer. №69. Andesite, polygonal,
with one oval working end and a groove.

Length - 24.4 cm, Width - 11.2 cm,
Weight - 4500 gr.

8. ურო. ინვ. №70. ანდეზიტი. ოთხ-



კუთხაგანივევეთიანი. ერთი მრგვალგანივევეთიანი სამუშაო პირით. სატარე ორი არასრული სარტყელით.

Hammer. №70. Andesite, polygonal, with one oval working end and two partly grooves.

Length - 25.7 cm, Width - 10.5 cm,
Weight - 4460 gr.



9. ურო. ინვ. №71. ანდეზიტი, ოვალურგანივევეთიანი. ერთი სამუშაო პირით. სატარე სარტყელით.

Hammer. №71. Andesite, oval, with one working end and a groove.

Length - 25.0 cm, Width - 13.7 cm,
Weight - 4160 gr.



10. ურო. ინვ. №72. ოვალურგანივევეთიანი. ორი სამუშაო პირით. სატარე სარტყელით.

Hammer. №72. Oval, with two working ends and a groove.

Length - 21 cm, Width - 16.4 cm, Weight - 6000 gr.



11. ურო. ინვ. №73. ანდეზიტი. ორი სამუშაო პირით. ოვალურგანივევეთიანი. სატარე სარტყელით.

Hammer. №73. Andesite, oval, with two working ends and a groove.

Length - 21.0 cm, Width - 17 cm, Weight - 3700 gr.



12. ურო. ინვ. №74. ანდეზიტი, ოვალურგანივევეთიანია. ორი სამუშაო პირით. სატარე სარტყელით.

Hammer. №74. Andesite, oval, with two working ends and a groove.

Length - 14.6 cm, Width - 10.0 cm, Weight - 2100 gr.

13. ურო. ინვ. №75. ანდეზიტი. ოთხ-



კუთხაგანივევეთიანი. ერთი მრგვალგანივევეთიანი სამუშაო პირით. სატარეორი არასრული სარტყელით.

Hammer. №75. Andesite, polygonal, with one oval working end and two partly grooves.

Length - 17.0 cm, Width - 8.8 cm,
Weight - 2100 gr.



14. ურო. ინვ. №76. ბაზალტი, მრგვალგანივევეთიანი, ერთი სამუშაო პირით. სატარე ერთი ჭდითა და ერთი სარტყელით.

Hammer. №76. basalt, oval, with one working end, a groove an a notch.

Length - 15.7 cm, Width - 13.0cm, Weight - 3150 gr.



15. კომბინირებული იარაღი. ინვ. №77. ანდეზიტი. ოთხკუთხაგანივეთიანი. ორი ფუნქციის მქონე - ურო-სანაყისა და ამბოსის. სატარე ორი ჭდითა და გასამდიდრებელი ორი ფოსოთი.

Combined tool. №77. Andesite, with two functions of a hammer and an ambos. Polygonal, with two notches.

Length - 13.8 cm, Width - 11.4 cm,
Weight- 2800 gr.



16. ურო. ინვ. №78. ანდეზიტი. ოთხკუთხაგანივევეთიანი, ერთი მრგვალგანივევეთიანი სამუშაო პირით. სატარე ოთხი არასრული სარტყელით.

Hammer. №78. Andesite, polygonal, with one oval working end and with four partly grooves.

Length - 11.9 cm, Width - 8.7 cm, Weight - 1000 gr.



17. ურო. ინვ. №79. ანდეზიტი. ოთხ-კუთხაგანივევეთიანია. ერთი სამუშაო პირით. სატარე სამი ჭდით.

Hammer. №79. Andesite, polygonal, with one working end and three notches.

Length – 16.8 cm, Width – 7.6 cm, Weight – 1600 gr.



18. ურო. ინვ. №80. ანდეზიტი. ოთხ-კუთხაგანივევეთიანი, ერთი ოვალურ-განივევეთიანი სამუშაო პირით.

Hammer. №80. Andesite, polygonal, with one oval working end and with two partly grooves.

Length – 14.7 cm, Width – 9.0 cm, Weight – 1500 gr.



19. ურო. ინვ. №81. ბაზალტი. მასიური. ოთხკუთხაგანივევეთიანი, ერთი სამუშაო პირით, სატარე სარტყელით.

Hammer. №81. Basalt, massive, polygonal, with one working ends and a groove.

Length – 26.2 cm, Width – 18.0 cm, Weight – 8300 gr.



20. ურო. ინვ. №83. ანდეზიტი, ოთხ-კუთხაგანივევეთიანი. ერთი სამუშაო პირით. სატარე სარტყელითა და ჭდით.

Hammer. №83. Andesite, polygonal, with one oval working end, one notch and a groove.

Length – 14.5 cm, Width – 9.9 cm, Weight – 1500 gr.



21. ურო. ინვ. №84. ანდეზიტი. დამუ-
შავებული. ოთხკუთხაგანივევეთიანი.
ერთი სამუშაო პირით.

Hammer. №84. Andesite, polygonal,
with one working end.

Length – 17.4 cm, Width – 9.2 cm, Weight
– 1000 gr.



22. ურო. ინვ. №85. ანდეზიტი. ოვა-
ლურგანივევეთიანი. ორი სამუშაო
პირით.

Hammer. №85. Andesite, oval, with two
working ends.

Length – 17.4 cm, Width – 9.2 cm, Weight
– 1000 gr.



23. ურო. ინვ. №86. ანდეზიტი. მა-
სიური. ოვალურგანივევეთიანი. ერთი
სამუშაო პირით. სატარე ორი არას-
რული სარტყელით.

Hammer. №86. Andesite, oval, with one
working end and two partly grooves.

Length – 22.4 cm, Width – 14.5 cm,
Weight – 6300 gr.



24. ურო. უნომრო. ანდეზიტი. ოთხ-
კუთხაგანივევეთიანი. ერთი ოვალუ-
რგანივევეთიანი სამუშაო პირით. სა-
ტარე ორი არასრული სარტყელით.

Hammer. Andesite, polygonal, with one
oval working end and two partly grooves.

Length – 16.7 cm, Width – 8.5 cm, Weight
– 1996 gr.

VI თავი

სამთო ნარმოების იარაღების ინტერდისცი- ალინარული კვლევები

პროექტით გათვალისწინებული სამეცნიერო კვლევების მიზანს წარმოადგენდა საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული სამთო ნარმოების იარაღების მოძიება და მათი თავმოყრა. გარევულნილად შევძლით დაგვეფიქსირებინა საქართველოს ეროვნულ მუზეუმებსა და რეგიონალურ მუზეუმებში დაცული სამთო იარაღების ერთიან სისტემაში თავმოყრა და მონაცემთა ბაზის შექმნა. ინტერდისციპლინარული კვლევები დღეისათვის ჩატარებულია მხოლოდ საყდრისის ოქროს უძგელეს მაღაროებში აღმოჩენილ ქვის, ძვლისა და ობსიდიანის იარაღებზე.

ჩვენი კვლევების მიზანს წარმოადგენდა საყდრისის პრეისტორიულ გამონამუშევრებსა და მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქვის, ძვლისა და ობსიდიანის იარაღების ფუნქციური დანიშნულების დადგენა და ამ იარაღებით ჩატარებული სამუშაოების ხასიათი.

ამ მიზნით, საყდრისის საბადოზე მოპოვებული ქვის (22 ნიმუში), ობსიდიანისა (25 ნიმუში) და ძვლის იარაღები (7 ნიმუში) შესწავლილი იქნა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ინტერდისციპლინარული კვლევების ლაბორატორიაში; ქვის იარაღებს ჩაუტარდა ტრასოლოგიური, ხოლო ძვლის იარაღებს კი პალეოზოლოგიური და ტრასოლოგიური კვლევები.

1. ძვლის იარაღები. ძვლის იარაღებზე ჩატარდა პალეოზოლოგიური და ტრასოლოგიური კვლევა.

პალეოზოლოგიური კველევები ჩატარა დოქტ. ოლეგ ბენდუქიძემ. შესწავლილი იქნა ექვსი ძვლის და ერთი რქის იარაღი. ნეკნისგან დამზადებული იარაღებიდან მხოლოდ ერთი ძვლის განსაზღვრა მოხერხდა, რადგან როგორც ო. ბენდუქიძე აღნიშნავს, ხშირ შემთხვევაში, ნეკნის მეშვეობით ცხოველის სახეობის დადგენა ჭირს. საყდრისის მაღაროში აღმოჩენილი ნეკნი (№3132) ეკუთვნის ხარს (ტაბ. XX). სახვრეტი (№3369) (ტაბ. XIX) დამზადებულია ახალგაზრდა საქონლის ქვედა სხივის ძვალზე. მასზე ხრტილის ძვალი ბოლომდე არ არის ჩამოყალიბებული, რაც იმის დასტურია, რომ ის დეკეულს ან მოზვერს ეკუთვნოდა.

რქის იარაღი (№5160) (ტაბ. XIX) კი, ირმის რქის მორჩისგან არის დამზადებული.

ძვლის იარაღების ტრასოლოგიური კვლევა ჩაატარა დოქტ. ქეთევან ესაკიამ. ფუნქციის მიხედვით გამოიყო იარაღის სამი სახეობა – საფხევი, სახვრეტი და წერაქვის ნამზადი.

საჭხეკები დამზადებულია საქონლის ნეკნისგან; ერთგვა-როვანია, როგორც ფორმით, ასევე ფუნქციონალური დანიშნულებით. ისინი დამზადებულია ერთი ტექნიკით - ძვლის ზედაპირის გასწორების მიზნით, სიბრტყეები გაფხევილია ქვის იარაღით. მის ზედაპირზე გრძელი, ერთმანეთის მიმართ პარალელური (ოდნავ ტალღოვანი) და ინტერვალებით დაშორებული ხაზები წინასწარი გათლის პროცედურის მაჩვენებელია. გათლა ხოკვის მეთოდით ხდებოდა, სავარაუდოდ ობსიდიანის სახოკებით. სამუშაო პირებზე ერთნაირი კვალი ჩანს; როგორც ჩანს, ძვლის იარაღებით მუშაობა ტარის გარეშე მიმდინარეობდა. ნეკნისგან დამზადებული საფხეკები ორი ფუნქციის მატარებელია. მათი ერთ-ერთი ფუნქცია შესაძლოა მადნის შემცველი ქანის ფხეკასთან იყოს დაკავშირებული (სურ. 17) (ამ სამუშაოს დროს იხმარებოდა იარაღის კიდეები). ხოლო მეორე ფუნქციით - ხის ან უხეში ტყავის დასამუშავებლად (სურ. 18).

თუმცა, შესაძლოა ძვლის იარაღის ერთი გვერდი, რომელზეც ტყავზე მუშაობის კვალი ჩანს, მადნის დასახარისხებლადაც ყოფილიყო გამოყენებული. ბრიტანელ სამთო არქეოლოგს უილიამ ობრაიანს საინტერესო მოსაზრება აქვს ძვლის იარაღების ფუნქციასთან დაკავშირებით. მისი აზრით, ძვლის საფხეკების საშუალებით მადნის დახარისხება ტყავზე ხდებოდა. ძვლის ტყავთან შეხება კი მისი სამუშაო პირის სიგლუვესა და სიპრიალეს იწვევს (O'Brien W. 2004: 382).

ძვლის სახვრეტი (№3369), რომელიც საქონლის სხივის ძვლისგან არის დამზადებული ტრასოლოგიური კვლევების საფუძველზე, ხეზე ან უხეშ ტყავზე სამუშაოდ გამოიყენებოდა. მისი წვერი გაპრიალებულია და მიკროსკოპულად კარგად დასტურდება ამ საქმიანობაში მისი ხმარება.

მაღაროებში ხისა და ტყავის გამოყენებას საკმაოდ დიდი ტრადიცია ჰქონდა. ტყავისგან მზადდებოდა ტარიანი უროების დასამაგრებელი თასმები, საზიდრები, ნილის მათარები და სხვ. ხე გამოიყენებოდა ქვის და ზოგიერთ შემთხვევაში რქის

იარაღების ტარის დასამზადებლად (Kern A. et. all. 2012). ხისგან ამზადებნენ ასევე ციცვებსა და გობებს წყლის შესანახად.

ნერაქვის ნამზადი ირმის რქის მორჩისგან არის დამზადებული (№5160). მას წვერი წაკვეთილი აქვს მჭრელი იარაღით, ხოლო მისი ზედაპირი უსისტემოდაა დახაზული. იგი წარმოადგენს იარაღის ნამზადს, რომელზედაც მუშაობის კვალი არ დასტურდება.

ტრასოლოგიურ კვლევების დროს მიღებული შედეგი საკმაოდ საინტერესოა, რადგან ირმის რქისაგან დამზადებული წერაქვები და უროები (ამ შემთხვევაში გამოყენებულია ირმის რქის გვირგვინი (Timberlake S. 2014: 43) საკმაოდ ინტენსიურად გამოიყენდა პრეისტორიული ხანის საბადოებში. მათი ყველაზე ადრეული ხმარების ფაქტი დამოწმებულია მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში შესწავლილი ნეოლიტური ხანის კაჟის მაღაროებში. 2013-2014 წლებში, საყდრისში ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა ცხადყო, რომ ცეცხლით გახურებული კლდის ქვის უროებით მონგრევის შემდეგ, ირმის რქისაგან დამზადებული წერაქვი საკმაოდ ეფექტურად გამოიყენებოდა მაღნის ჩამოსაშლელად (Stöllner T. et. all. 2014). თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საყდრისში არსებული ჰემატიტ-კვარცის ბუდობები საკმაოდ მყარია, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქ აღმოჩენილი იარაღი პირველივე გამოყენების დროს დაზიანდა. მოგვიანებით იგი მომზადებული იქნა ხელმეორედ, რასაც რქის წაკვეთილი/წაჭრილი წვერი ადასტურებს. თუმცა, როგორც ჩანს, მისი მეორადი გამოყენება არ მომხდარა.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის გეოლოგიურ დეპარტამენტში ჩატარებული მიკროსკოპული კვლევების დროს საყდრისის მაღაროში აღმოჩენილი ძვლის ზოგიერთი იარაღის (№№ 3132, 5261, 5265) სამუშაო პირის მთელს სიგრძეზე, ნაფხაჭნებსა და ღარებში წითელი ფერის, წვრილი, ქვიშისებრი ნაწილაკების ნარჩენები დაფიქსირდა (ტაბ. XX, 2).

ასევე, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ საქონლის ნეკნისგან დამზადებული იარაღების მიკროსკოპული დათვალიერებისას, ერთ-ერთი მათგანის (№5261) სამუშაო პირის ნაპრალში დაფიქსირდა ნახშირის ფრაგმენტი (ტაბ. XXI, 2), ხოლო მეორეში (№5265) კი კრისტალის ფრაგმენტები (ტაბ. XXI, 1).

ამ ნაწილაკების და ნარჩენების შესახებ ამჯერად დაწვრილე-


ბით ვერ ვისაუბრებთ, რადგამ ძვლის იარაღზე შერჩენილი წითელი ნაწილაკების განსასაზღვრად აუცილებელია ანალიტიკური კვლევები, რომელიც მომავალში განხორციელდება ბოხუმის გერმანიის სამთო მუზეუმის მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის ლაპორატორიაში.

2. ობსიდიანის იარაღები. დანიშნულების მიხედვით ობსიდიანის შესწავლისას გამოიყო იარაღის სამი სახეობა – საფხექ-სახოკი, საფართი და კომბინირებული იარაღი. **საფხეჭ-სახოკების** (ტაბ. XXII) სამუშაო პირები ერთის მხრივ გამოფხვნილი, ძლიერ დაჩეჩქვილი და დაბლაგვებულია. კიდევები შეზნექილია ან მსხვილად არის დაკბილული. ხაზოვანი კვალი ზოგან (სადაც იარაღი სწორი კუთხით არის მიმართული დასამუშავებულ საგანთან) არა ჩანს, მაგრამ ჩანს გახეხილი (გაშლიფული) ზოლი, რომელიც სამუშაო პირის კიდეს მიჰყვება. იქ, სადაც იარაღი რაღაც კუთხითაა დახრილი, კიდის პერპენდიკულარულად, ჩანს ერთმანეთის პარალელური, ოდნავ ღრმად მიმავალი, მოკლე ხაზები. საყდრისში დაფიქსირებული ობსიდიანის იარაღებში სახოკების გარდა გვხვდება **საფართებიც.** ხოლო ზოგიერთი მათგანი ორივე ფუნქციის მატარებელია. დოქტ. ქ. ესაკიას მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად ცხადი გახდა, რომ ისინი ხეზე ან უხეშ ტყავზე სამუშაოდ უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

ცალკე აღნიშვნის ლირსია ყუნწიანი ობსიდიანის ისრისპირი (ტაბ. XXII, 1). ნივთის მიკროსკოპული დათვალიერებისას დადგინდა, რომ იგი გამოყენებულია მეორადი ფუქციით. ისრისპირის ერთი გვერდი ამოღარულია. სწორედ ამ გვერდით არის იგი სახოკის ფუნქციით ნახმარი.

3. ქვის იარაღები. ტრასოლოგიური კვლევა ჩაუტარდა 22 ნიმუშს. წარმოდგენილი იარაღები მაღინის დასამუშავებელ ტიპურ ნიმუშებს წარმოადგენენ და აქვთ საერთო ნიშნები. იარაღებზე ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ მათ დასამზადებელ ნედლეულად, ძირითადად რიყის ქვებია გამოყენებული, რომელთაც მინიმალური დამუშავება სჭირდებათ. ქვების დამუშავებისას, კერძოდ კი მათზე ტარის დასამაგრებელი ჭდეებისა თუ სარტყელების დატანის მიზნით, გამოყენებულია წერტილოვანი დარტყმის ტექნიკა (იარაღების დამუშავებისას გამოიყენებოდა ქვის მცირე ზომის იარაღები).

ტრასოლოგიური კვლევის შედეგად ფუნქციის მიხედვით გამოიყო ოთხი სახეობა: ურო, სანაყი, ხელსაფქვავი და კომბი-



სურ. 17. მაღნის დამუშავების პროცესი.

Fig. 17. Ore exploitation.



სურ. 18. ტყავის დამუშავების პროცესი.

Fig. 18. Leather shaving.

ძვლის საღწეულებით შესრულებული სამუშაოების რეკონსტრუქცია (მხატვარი ინგა ესვანჯა)

Working process with bone scrapers. Reconstruction. (Drawing by Inga Esvanjia)

ნირებული იარაღი.

უროები (ინვ. №№ 3523, 3695, 3783, 5279, 5323, 7012, 7088, 8495, 8577) ძირითადად დამზადებულია მაგარი ჯიშის რიყის ქვებისგან, რომლებსაც შუა წელზე წერტილოვანი დარტყმის ტექნიკის გამოყენებით სხვადასხვა სიღრმის სატარე ჭდები თუ სარტყლები აქვთ. სამუშაო პირებზე ხაზოვანი კვალი დაზიანებების გამო თითქმის შეუმჩნეველია (ატკეცილია, ან გაცვეთილი). ცვეთადამოკიდებულია ქანის სიმტკიცეზე. ღრმად, შრეებში კარგად ჩანს სხვადასხვა მინერალის ნაწილაკები. სამუშაო პირის მოყვანილობის მიხედვით გვხვდება ჩაქუჩისებური და თოხისებური უროები. იარაღებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ჩაქუჩისებური უროების კინებატიკა მყარი მასალაზე დარტყმის პროცესზე მიუთითებს (ტაბ. XV, 3, XVI, 2). თოხისებური იარაღით როგორც ჩანს ხდებოდა დაბზარული მადნის ჩამოშლა და მოგროვება (ტაბ. XIII, XVII, 1, XVIII, 1). საყდრისის მაღაროებში, ასევე აღმოჩენილია ქვის უროები წერაქვისებური სამუშაო პირებით, თუმცა მათი ტრასოლოგიური კვლევა არ მომხდარა.

სანაყი (ინვ. №5241) დამზადებულია რიყის ქვის ანატკეცზე. მას ორი სამუშაო პირი აქვს, რომლებიც დაჩეჩქვილი, გახეხილი, მოგლუვებული და დაბლაგვებულია. სამუშაო პირებზე ჩანს წითელი ფერის მინერალის ნაწილაკები. შუა წელი ოდნავ ამოღარულია ორივე გვერდიდან. იარაღის კინებატიკა დანაყვის პროცესზე მიუთითებს. დარტყმა ხდებოდა ზემოდან ქვემოთ.

ხელსაფქვავი (ინვ. №4273) დამზადებულია ანდეზიტური ბაზალტისაგან. ფართო და დაბრტყელებული სამუშაო მოედნით. მეორე ზედაპირი ბუნებრივი ფორმისაა, რომელსაც ორივე ბოლოდან დიდი ანატეხები აქვს. დასამუშავებელი მასალის არათანაბარი სიმყარის გამო, გაცვეთილი უბნების ხორკლიან ზედაპირზე, ხაზები ძალიან ძნელი დასაფიქსირებელია. იარაღი დაფარულია მოყვითალო-მოყავისფრო ნაწილაკებით, რომლებიც სიღრმეებშიც ჩანს. იარაღის ბრტყელი ზედაპირი, ცენტრში, უმნიშვნელოდაა ჩაღრმავებული. იარაღის ბრტყელი ზედაპირით ხდებოდა მყარი მასალის ხეხვა (ტაბ. XV, 1).

კომბინირებული იარაღები ნარმოდგენილია სასრეს-სახებე-ებითა და სასრეს-ამბოსებით. სასრეს-სახეხები (ინვ. №№ 4260, 8551, 9357, 10813) დამზადებულია ბაზალტისა და ანდეზიტური ბაზალტისაგან. მათ არათანაბარი სისქე აქვთ. იარაღის ერთ

სიბრტყეზე, ვიზუალურად ჩანს ერთმანეთის პარალელური მოკლე, ღრმა ღარები და პატარა ამოტეხილი ღრმულები, რაც მუშაობის კვალს წარმოადგენს. მუშაობის კვალი შემორჩენილია მეორე ზედაპირზეც, მხოლოდ უფრო სუსტად გამოხატული. როგორც ჩანს, ზედაპირზე არსებული ღარებისა და ხაზების სიმკვეთრე განპირობებულია დასამუშავებელი მასალის სიმკვრივეზე. იარაღის დიდი ნაწილი დაფარულია მოწითალო და ყვთელი ქვიშის ნაწილაკებით და მოყავისფრო-მოშავო მინარევით. მუშაობის კვალი სამუშაოს ტრაექტორიაზეც მიუთითებს. ჩანს, რომ იარაღზე მყარი მასალის ხეხვა მაღალი, შესქელებული ნაწილიდან დაბალი და თხელი ბოლოს მიმართულებით ხორციელდებოდა (ტაბ. XIV, 2, XVI, 1, XVII, 2).

სასრეს-ამბოსი (ინვ. №№ 2249, 8518, 9326, 10200) წარმოადგენს კომბინირებულ იარაღს. მათ გააჩნიათ ორი სამუშაო მოედანი, რომლებზეც ვიზუალურად ჩანს პარალელური ღრმა ღარები. ერთ სამუშაო მოედანზე ჩანს პატარა ღრმული, რომლის ძირი და გვერდები დაჩერჩევილია. ყველა შესწავლილი იარაღი, საკმაოდ, გაცვეთილია (ტაბ. XIV, 1 XV, 2, XVIII, 2). ამ ტიპის იარაღებიდან ერთ-ერთი სამკუთხაგანივკვეთიანია და აქვს სამი სამუშაო მოედანი (ტაბ. XIV, 1).

ქვის იარაღების ტრასოლოგიურმა კვლევებმა ცხადყო, რომ საყდრისში მომუშავე ბრინჯაოს ხანის მაღაროელები საკმაოდ კარგადიცნობდნენ ქვის ჯიშებს, რაც იარაღისათვის სასურველი ნედლეულის არჩევამი გამოიხატება. ქვის იარაღები საკმაოდ მყარი ჯიშის ქვებისგან არის დამზადებული, თუმცა არც ისე, რომ მათი დამუშავება შეუძლებელი გამხდარიყო. ასევე, მათ მაღალკვალიფიციურობაზე მიუთითებს სამუშაოების სხვადასხვა ეტაპზე გამოყენებული სპეციალური იარაღები.

ტრასოლოგიურმა კვლევებმა ცხადყო, რომ უროები მადნის მოპოვების გარდა სანაყებადაც გამოიყენებოდა, რაზეც იარაღის კინემატიკა (იარაღის ზედაპირზე არსებული ტრასების მიხედვით დადგინდა მოძრაობის მიმართულება) მიუთითებს. ხშირად ზოგიერთი ურო სახეხად არის გამოყენებული. მადნის გასამდიდრებელი იარაღები უმეტესწილად მრავალფუნქციური დანიშნულებისა. ერთი იარაღი ხშირად გამოყენებულია სახეხის, საფხველისა და სანაყის დანიშნულებით. საინტერესოა შესწავლილი იარაღებიდან ერთი ეგზემპლარი, რომელ-

საც ბრტყელი ფორმა აქვს. ტარის დაგების მიზნით მისი ორივე გვერდი ამოღარულია წერტილოვანი დარტყმის ტექნიკით. იარაღს აქვს ორი სამუშაო პირი, რომელიც თოხისებური ფორმისაა. მასზე არსებული მუშაობის კვალის მიხედვით დადგინდა, რომ ასეთი ტიპის იარაღით ხდებოდა დასუსტებული და ცეცხლით გახურებული, დამსკდარი მაღნის ჩამოშლა. მსგავსი ტიპის იარაღები მარავლადაა აღმოჩენილი საყდრისის მაღაროებში.

ინტერდისციპლინალურმა კვლევამ, საველე სამუშაოების მონაცემებთან და სამთო იარაღების ტიპოლოგიურ კვლევასთან ერთად გვიჩვენა, რომ მაღნის მოპოვებითი სამუშაოები, რომელიც დაფიქსირებულია საყდრისის სამთო ძეგლზე, შედგებოდა რამდენიმე საფეხურისგან და საკმაოდ ორგანიზებული იყო.

საყდრისში ჩატარებულმა კვლევებმა და ექსპერიმენტებმა დაადასტურა, რომ:

1. ოქროს ვიწრო ძარღვებიდან მაღნის მოპოვება ხდებოდა მცირე ზომის ქვის უროების საშუალებით და ხშირ შემთხვევაში, ცეცხლის გამოყენების მეთოდით. მაღნიდან ფუჭი ქანების მოსაშორებლად და სუფთა/წმინდა კვარციტის ამოსალებად იხმარებოდა ძვლისა და რქის საფეხურები, ასევე, სახოკები.

2. ოქროს მაღნის შემოწმება ხდებოდა სამუშაო მოედანზე, დანაწევრებული მაღნის ხელსაფეხვავებზე გახეხვითა და წყლით გარეცხვით. ეს მეთოდი საკმაოდ ეფექტურია.

3. ოქროს მაღნის ხელით დანაწევრება და დამსხვრევა მაღნის გამდიდრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფეხურია, რომელიც დასტურდება საყდრისის მაღაროში. პირველადი გადარჩევა და დანაწევრება მიწისქვეშაც კი ხდებოდა, სადაც მარტივი პორტატული (უტარო) უროები და ამბოსები სავარაუდოდ ამ საქმისთვის გამოიყენებიოდა.

4. მაღაროში და სამუშაო მოედანზე სამუშაოების დამთავრების შემდგომ, ოქროს შემცველობის უხეში ქვიშა გადაჰქონდათ ნამოსახლარზე, სადაც იგი წმინდად ითხვნებოდა.

5. მეხუთე ეტაპს წარმოადგენდა ოქროს გამოდნობის პროცესი, რომლის არსებობაც, საყდრისის სამთო საწარმოს კომპლექსის ტერიტორიაზე, ჯერჯერობით არ არის დაფიქსირებული (Shtöllner T. et. all. etc. 2011: 196).

VII თავი სამუშაო იარაღები სამთო ნარმოების ძაგლებზე

პრეისტორულ ხანის სამთო წარმოებაში, რკინის გამოჩენა-
მდე, ქვის იარაღები ყველაზე ფართოდ გამოიყენებოდა. დღეი-
სათვის მსოფლიოში ცნობილია პრეისტორიული ხანის მრავალი
სამთო წარმოების ძეგლი. ქვის უროები და მადნის წარმოებას-
თან დაკავშირებული სხვადასხვა დანიშნულების იარაღები აღ-
მოჩენილია ყველა მსგავსი ტიპის ძეგლზე. ქვის უროები გამ-
ოიყენებოდა სასურველი მადნის ზედაპირის მოსანგრევად და
ხშირ შემთხვევაში დაკავშირებული იყო მყარი მადნის ცეცხლის
მეთოდით მონგრევის პროცესთან (Craddock B. et. all. 2003: 52);
ქვის უროებით მონგრეული მადნის დამუშავება ხდებოდა რქისა
და ხის წერაქვებით. მიუხედავად იმისა, რომ ქვის უროები, რომ-
ლებიც მადნის მონგრევასთან არის დაკავშირებული, ასეულო-
ბითაა აღმოჩენილი მსოფლიო სამთო წარმოების ძეგლებზე,
მათი ტარები საკმაოდ იშვიათად არის დაფიქსირებული. ამ
შემთხვევაში გამონაკლისს წარმოადგენს მარილის საბადოებში
აღმოჩენილი იარაღები და სხვადასხვა დანიშნულების საგნები.
მარილის საბადოებში ორგანული მასალა – ტყავი, ხე, ქსოვილი
შედარებით უკეთესად ინახება და მსგავსი ტიპის ძეგლებზე,
ქვის გარდა სხვადასხვა მასალისა და დანიშნულების არტეფა-
ქტებია აღმოჩენილი (Moriss H. 1928: 83-89; Cavruč V. 2008; Kern
A. et. all. 2009). თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მარილის
მოსაპოვებელი იარაღები რამდენადმე განსხვავდება ლითონის
მადნის მოსაპოვებელი იარაღებისგან.

მაღაროებში გამოყენებული იარაღი ძირითადად დამზა-
დებულია რიყის ქვისგან, რომლებიც მოტანილია ახლოს მდე-
ბარე მდინარეების ნაპირებიდან. მსოფლიო პრეისტორიული
ხანის სამთო წარმოების ისტორიას თუ გავადევნებთ თვალს
და დავეყრდნობით არქეოლოგიურ მონაცემებს, დავინახავთ
რომ ერთი უბრალო ქვის იარაღიც კი საკმაოდ საინტერესო
ისტორიის მატარებელია. ამ შემთხვევაში ქვის იარაღების დე-
ტალური შესწავლა დიდ და ყოვლისმომცველ ინფორმაციას
იძლევა პრეისტორიული სამთო წარმოების პროცესის რეკონ-
სტრუქციისათვის. სამთო წარმოებასთან დაკავშირებული ქვის
იარაღები მრავალფეროვანია.

საყდრისის სამთო წარმოებასთან დაკავშირებული ქვის იარაღების ტრასოლოგიური კვლევა და ტიპოლოგიის შემუშავება მეტად მნიშვნელოვანია, რადგან კვლევის ეს მეთოდი შეუწყობს ხელს ამ სახეობის არტეფაქტების ფუნქციისა და დანიშნულების სრულფასოვან შესწავლას.

სამთო წარმოების იარაღების კლასიფიკაცია და ტიპოლოგია დღეისათვის არ არის სრულყოფილი, რადგან არ ეფუძნება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში აღმოჩენილი იარაღების კვლევის შედეგებს. დღეს არსებული კლასიფიკაცია და ტიპოლოგია უკავშირდება კონკრეტულ ძეგლებს და აქ აღმოჩენილ იარაღებს; თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში ზოგადად მაინც არის წარმოდგენილი სამთო წარმოების იარაღების ტიპები და გამოთქმულია მოსაზრებები მათი ფუნქციონალური დანიშნულების შესახებ (Pickin J. 1990; Reiser B., Schrattenthaler H. 2004; O'Brien W. 2004.).

სამთო წარმოებაში დამონაბეჭული სამუშაოების ეტაპებისა და სხვადასხვა საქმის გათვალისწინებით გვხვდება განსხვავებული ფუნქციის იარაღები. პირველ რიგში აღსანიშნავია მადნის მოსანგრევი უროები, რომლებიც ყველაზე დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ამ ტიპის ძეგლებზე. ასევე, გვხვდება მადნის გასამდიდრებელი იარაღები – ამბოსები, სანაყები, საფქვავები.

მადნის მოპოვება-დამუშავებასთან დაკავშირებული ისეთი ნივთები, როგორებიცაა სხვადასხვა ზომისა და წონის ქვის უროები, სახეები, ამბოსები და ხელსაფქვავები დაფიქ-სირებულია ბორცუმის გერმანიის სამთო მუზეუმის ექსპედიციის მიერ გათხრილ ძეგლებზე ირანში (Stöllner T. et. all. 2011), ტაჯიკეთსა და უზბეკეთში (Garner J. 2013), დიდ ბრიტანეთში, ესპანეთში, ალპებში, იტალიაში, ეგვიპტეში, ისრაელში, იორდანიაში, ომანში, თუ სხვა (Weisgerber G. 1978; Klemm R. & Klemm D. 2013; Timberlake S. 2014).

მადნის მოსანგრევი/მოსაპოვებელი იარაღები განსხვავდება ზომისა და ფორმის მიხედვით.

სამთო იარაღების კლასიფიკაცია ძირითადად შემუშავებულია როგორც მათი ფორმისა და მოყვანილობის, ასევე, იარაღზე ტარის დაგების ტექნიკის მიხედვით. დღეისათვის ის ტიპოლოგია, რომელიც შემუშავებულია უროზე ტარის დაგების ტექნიკის მიხედვით, შედარებით სრულყოფილია. მაგალითისათვის

შეიძლება მოვიყვანოთ დიდ ბრიტანეთსა და ალპებში დაფიქ-
სირებულ მაღაროებში აღმოჩენილი იარაღების კლასიფიკაცია
(Pickin J. 1990: 39-40; Rieser Schrattenthaler H. 2004: 81-92), რომელიც
თითქმის სრულად ასახავს მსოფლიო პრეისტორიული ხანის
სამთო წარმოებაში გამოყენებული იარაღებისათვის ტარის და-
სამაგრებალად განკუთვნილი ჭდებისა თუ სარტყლების ტი-
პებს.

ამ კლასიფიკაციის მიხედვით:

პირველ ტიპს წარმოადგენს რიყის ქვის უროები, რომ-
ლებიც დაუმუშავებელია და არ გააჩნია ტარის დასამაგრებლად
განკუთვნილი ჭდე თუ სარტყელი. ასეთი იარაღები მსოფლიო
სამთო წარმოების ძეგლებზეა დაფიქსირებული და წარმოა-
დგენს მთამადნელთა უტარო იარაღს. ხშირად ასეთი იარაღები
მცირე ზომისაა და გარდა მაღნის მონგრევა-მოპოვებისა გამოი-
ყენება მაღნის დასანაყად, სანაყების ფუნქციითაც იყო აღჭურ-
ვილი. ზოგიერთ შემთხვევაში მსგავსი იარაღები მრავალი ფუნ-
ქციის მატარებელიც არის.

მეორე ტიპის უროებს ზედაპირზე დატანილი აქვს მკრ-
თალი ჭდები ან ზოგიერთ შემთხვევაში მცირე ზომის მკრთალი
სარტყელი. ხშირ შემთხვევაში ტარის დასამაგრებელი ჭდებ-
ისა თუ სარტყლის დამუშავების ხარისხი იმდენად დაბალია,
რომ ზოგჯერ ისინი შეუმჩნეველიც კია და სამეცნიერო ოიტე-
რატურასა და ექსპედიციების მონაცემთა ბაზებში გააზრებუ-
ლია, როგორც პირველი ტიპის ურო – დაუმუშავებელი, უტარო.

მესამე ტიპის იარაღებში გაერთიანებულია უროები,
რომელთაც ტარის დასამაგრებლად განკუთვნილი ჭდები
დატანილია იარაღის გვერდებზე. ჭდები ხშირ შემთხვევაში
დატანილია იარაღის შუა ნაწილში; ჭდები გვხვდება, როგორც
მკრთალი, ასევე ღრმა.

მეოთხე ტიპის იარაღებს დატანილი აქვთ ტარის დასამაგრე-
ბელი სარტყელი, რომელიც იარაღს გარშემო ბოლომდე არ
შემოსდევს. ასეთი იარაღების აღმოჩენა არცთუ ისე ხშირია.

მესუთე ტიპში გაერთიანებულია იარაღები, რომელიც საკ-
მაოდ გავრცელებულია მსოფლიო სამთო წარმოების ძეგლებზე.
ეს იარაღები, წარმოადგენენ უროებს, რომელთაც შუა ნაწილში
უწყვეტად შემოუყვებათ ღრმა ან მკრთალი სარტყელი. ასეთი
ტიპის ტარის დაგების მეთოდი ფიქსირდება, როგორც მრგ-

ვალგანივკვეთიან, ასევე ოთხუთხაგანივკვეთიან იარაღებზე.

მექვსე ტიპში გაერთიანებული იარაღები საკმაოდ იშვიათია და გამორჩეულია ტარის დაგების მეთოდების მიხედვით. ამ ტიპში გაერთიანებულ იარაღებს დატანილი აქვთ ორმაგი და ზოგჯერ სამმაგი ტარის დასამაგრებელი ჭდეები, ან სარტყლები. ასევე, არის შემთხვევები ისეთი იარაღების აღმოჩენისა, რომელთაც დატანილი აქვს ორმაგი და სამმაგი სარტყელიცა და ჭდეც.

მოტანილი ტიპოლოგიის მიხედვითაც აშკარაა, რომ ლითონის მომპოვებელი სამთო წარმოების ძეგლებზე დაფიქსირებული უროების უმეტესობა სპეციალურ ტარზე მაგრდებოდა და ასე გამოიყენებოდა მადნის მოპოვების პროცესში. ამას მონმობს იარაღზე არსებული მექანიკურად დატანილი ჭდეები და სარტყლები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში განსხვავდება ერთმანეთისგან და იძლევა საშუალებას მოახდინოს იარაღის ნაწილობრივი რეკონსტრუქცია. მიუხედავად იმისა, რომ უროები-სათვის განკუთვნილი ტარები ძალიან მცირე რაოდენობითაა ჩვენამდე მოღწეული, მსოფლიო სამეცნიერო წრეებში არავინ დაობს იმის შესახებ, რომ სამთო წარმოებაში გამოყენებული უროები მაგრდებოდა სპეციალურ ტარზე და ისე გამოიყენებოდა მადნის მონგრევა-მოპოვების პროცესში (ტაბ. XXIII, 1). ბრიტანელ სამთო არქეოლოგებს ს. თომბერლეისა და ჯ. პიკინს ექსპერიმენტების შედეგების მიხედვით მიღებული დასკვნების საფუძველზე მოყავთ საკმაოდ მყარი არგუმენტი, იმის შესახებ, რომ უტარო უროებთან შედარებით ტარიანი უროები უფრო ხშირად გამოიყენებოდა სამთო წარმოებაში – კერძოდ კი კლდის ზედაპირის მოსანგრევად. მათი არგუმენტი მდგომარეობს შემდეგში: ექსპერიმენტის დროს, კლდის ზედაპირის მონგრევის პროცესში უტარო უროების გამოყენებამ გამოიწვია ხელის დაზიანება და მკლავებში არასასიამოვნო შერძნება. ეს ყველაფერი, კი გახდა მიზეზი ექსპერიმენტის შეჩერებისა (Pickin J. Timberlake S. 1988: 39-42).

ქვის უროებზე არსებული ჭდეებსა და სარტყელებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ პრეისტორიულ ხანაში არსებობდა ტარის დამაგრების სხვადასხვა ტექნოლოგია, ხოლო ტარის დასამზადებლად გამოიყენებოდა განსხვავებული ხის მასალა (Cradock B. et. all. 2003: 53). მსოფლიო პრეისტორიულ მაღაროებში


დაფიქსირებული უროებისათვის ყველაზე მეტად დამახასიათებელია ტარის დაგების მეთოდი, რომელიც გულისხმობს იარაღის ზედაპირზე, შუა ნაწილში, ქვის იარაღებით უწყვეტი სარტყლის დატანას. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ იარაღები, რომლებიც აღმოჩენილია დიდ ბრიტანეთში, ირლანდიაში, ძვ.წ. III ათასწლეულით დათარიღებულ ძეგლზე – როსის კუნძულზე (O'Brien W. 1995). მსგავსი ტიპის იარაღები ასევე აღმოჩენილია ინგლისში, ელდერლი ეჯის მაღაროში, რომელიც ძვ.წ II ათასწლეულით თარიღდება (Timberlake S. Cradock B. 2013: 34). უროები, რომლებიც ტარის დამაგრების მიზნით დამუშავებულია ზემოთ აღნიშნული მეთოდის მიხედვით აღმოჩენილია იორლანდიში (O'Brien 1995: 38-48), უელსსა (Timberlake S. 1989) და თითქმის მსოფლიოს ყველა სამთო წარმოების ძეგლზე. ვარაუდობენ, რომ მსგავსი ტიპის უროებისათვის გამოიყენებოდა ტყავის ან ბაწრის წნული სახელური, რომელიც ეხვეოდა უროს გარშემო (ტაბ. XXIII, 3). განსხვავებული – მტკიცე და უფრო დრეკადი ტარი უნდა ყოფილიყო გამოიყენებული უროებზე, რომელთაც სარტყლის მაგივრად დატანილი აქვს სხვადასხვა რაოდენობის ჭდები (დარები) (ტაბ. XXIII, 1). ეს ყველაფერი აქამდე ვარაუდებს წარმოადგენდა, ტარისა და დასაბმელი მასალის არ არსებობის გამო. თუმცა, ამერიკაში დაფიქსირებულ ზოგიერთ ძეგლზე აღმოჩენილმა ქვის ტარიანმა უროებმა და ტარისა და უროს დასამაგრებელმა მასალამ ეს ვარაუდები განამტკიცა. ამ აღმოჩენამ მეცნიერებს მისცა საშუალება უფრო ნათლად აღედგინათ სამთო წარმოების იარაღების ტარის დაგების მეთოდები და ტექნოლოგიები (Weigand P.C. 1968). მსგავსი იარაღები აღმოჩნდა მექსიკაშიც. უფრო კარგად და სრულად შემონახული ტარიანი უროები დაფიქსირდა სამხრეთ ამერიკაში, ჩრდილოეთ ჩილეში, სადაც ბუნებრივი გარემო და პირობები ხელს უწყობს ორგანული მასალის გადარჩენას (Figueroa V. et. all. 2013: 63, 70, 74). ხელუხლებელი და დაუზიანებელი ტარიანი იარაღები დაფიქსირდა ორ მაღაროში, რომელიც ამ რეგიონში მდებარეობს. ესენია – ვერცხლის მაღარო ჰაუნტაჯაიაში (Cradock B. et.all. 2003: 56) და სპილენძის მაღაროში ჩუკვიკამატაში (Bird J. B. 1979; Weisgerber G. 1992). ჰაუნტაჯაიაში აღმოჩენილ იარაღებს შერჩენილი აქვთ ტარის ყველა კომპონენტი, როგორც თვითონ ხის ტარი, ასევე ტყავის თასმები. უროები დაფიქსირდა

პრეისტორიელი მაღაროელის ორ ჩონჩხთან ერთად.

მეტად საინტერესოა ჩუკვიკატამაში დაფიქსირებული მაღარო და არტეფაქტები, რომლის შესახებ საკმაოდ დეტალური ინფორმაცია და აღწერილობა მოცემული აქვს სამთო და ექს-პერიმენტალური არქეოლოგის სპეციალისტს ბრენდა კრედოკს (ტაბ. XXVI) (Cradock B. et. all. 2003). აღნიშნული ძეგლი, რომელიც მდებარეობს ატაკამას უდაბნოში, ჩრდილოეთ ჩილეში, წარმოადგენს მსოფლიოში ყველაზე მდიდარ სპილენძის მაღაროს. თვითონ ტოპონიმი სამხრეთ ამერიკული წარმოშობისაა და ნიშნავს ჩუკოს (ან ჩუკვი) ტომის ინდიელთა ტერიტორიას (Cook R.B. 1978). ეს ტერიტორია გამოირჩევა გვალვებით და აქ თითქმის არაფერი არ ხარობს. მსგავსი გარემო პირობები ხელს უწყობს ისეთი მასალის ხანგრძლივად შენარჩუნებას, როგორიცაა მაგალითად ხე და ტყავი, მითუმეტეს თუ ის გაუღენთულია აქ არსებული მაღაროს სპილენძის მარილით.


მიუხედავად ასეთი მკაცრი გარემო პირობებისა, ჩუკვიკამატაში არსებულმა სპილენძის მინერალიზაციამ უძველესი დროიდან მიიქცია ადამიანის ყურადღება და დაინყო აქ სამთო წარმოება. ქვის იარაღები აქ აღმოჩნდა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე (Cradock B. 2003: 55). ქვის იარაღების გარდა, უძველეს გამონამუშევრებში დაფიქსირდა ხის სხვადასხვა იარაღები და ტყავის თასმები, წნული კალათები, რომლებიც ისევ სავსე იყო მადნით (ტაბ. XXV). ყოველივე ზემოთ აღნიშნული იმ ცნობილი მაღაროელის აღჭურვილობას წარმოადგენს, რომლის სხეულმაც ჩვენამდე მუმიის სახით მოაღწია. ეს მაღაროელი სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, როგორც „სპილენძის კაცი“ (ტაბ. XXV, 1). მაღაროელის სხეული და მისი აღჭურვილობა ინახება ნიუ-იორკში, ამერიკის ისტორიის ეროვნულ მუზეუმში. ჩანაწერებიდან, რომელიც 1899 წელს, „სპილენძის კაცის“ აღმოჩნდისას გაკეთდა, ირკვევა, რომ ის აღმოჩნდა მიწის ზედა-პირიდან დაახლოებით 2.0 მ. სიღრმეზე, მცირე ზომის მაღაროში სახელწოდებით რესტაურა (Cradock B. et. all. 2003: 55). ამ აღმოჩნენბმა საშუალება მისცა მეცნიერებს სრულად აღედგინათ იმდროინდელი იარაღების სახეები და დაედასტურებინათ აქამდე არსებული ჰიპოთეზები ქვის უროების დამზადებისა და მათი ტარის დაგების ტექნიკისა და მეთოდების შესახებ.

აღსანიშნავია, ასევე, ის ფაქტიც, რომ სამთო წარმოების



სურ. 19. სამთო წარმოების ძვლის იარაღები.
ექთონ პილი, დიდი ბრიტანეთი (Timberlake S. 2013: 23)

Fig. 19. Bone mining tools from Ecton Hill (Timberlake S. 2013: 23)



სურ. 20. სამთო წარმოებაში გამოყენებული დამხმარე იარაღები.
დიდი ბრიტანეთი (O'Brien W. 2004: 351)

Fig. 20. Pecking implements from Ross Island Mine
(O'Brien W. 2004: 351)

ძეგლებზე, ტიპური მადნის წარმოებასთან დაკავშირებული უროებისა და სანაყების გარდა, ხშირად არის აღმოჩენილი ქვის წერაქვისებური იარაღები და საჭრისები. ასეთი ტიპის იარაღი ძირითადად მზადდებოდა ნახმარი და გამოყენებული უროების ანატკეცებისგან, ზოგჯერ კი ნუკლეუსის ნარჩენებისგან. ისინი გამოიყენებოდა ტარის გარეშე, თუმცა მსგავსი ტიპის იარაღებზე იშვიათად გვხვდება ძალზედ მკრთალი გამოხატული ტარის დასაგები ლარი. დიდი ზომის უროების ანატკეცებისგან, რომელიც ძირითადად მუშაობის პროცესში წარმოიქმნებოდა, მცირე ზომის ქვის სოლები ან საჭრისები მზადდებოდა (Timberlake S. 2014: 37).

იშვიათად, თუმცა არის შემთხვევები სამთო წარმოების ძეგლებზე ისეთი ქვის იარაღების აღმოჩენისა, რომლებიც სამთო საქმეში არ გამოიყენებოდა (სურ. 20). ასეთებია საკმაოდ მცირე ზომის (5-6 დმ), ოვალურგანივკვეთიანი, ან სამკუთხაგანივკვეთიანი იარაღები, რომლებიც გამოიყენებოდა სამთო იარაღების დასამუშავებლად (ტაბ. XXIII, 4), კერძოდ კი მათთვის ტარის დასამაგრებლად განკუთვნილი ჭდეებისა თუ სარტყელის ამოსაკვეთად (Timberlake S. 2014: 37).


უკვე მონგრეული მადნის გადასამუშავებელი იარაღები აღმოჩენილია თითქმის ყველა სამთო წარმოების ძეგლზე. ასეთი იარაღებია სანაყები, საფქვავები, ხელსაფქვავები და ამბოსები.

მსოფლიო სამთო წარმოების ძეგლებზე დაფიქსირებულია ორი ტიპის სანაყი. გვხვდება როგორც დიდი ზომის, ასევე მცირე ზომის სანაყები. დიდი ზომის სანაყებით მუშაობა, ხშირ შემთხვევაში, ტარის გარეშე მიმდინარეობდა. მათი მოხმარება, როგორც ექსპერიმენტალურმა არქეოლოგიამ დაადასტურა, საკმაოდ ეფექტურად გამოიყენებოდა მადნისა და მინერალების მონგრევა-დანაყვაში (ტაბ. XXIII, 2-3). ხშირად ისინი წარმოადგენენ მეორადი გამოყენების იარაღს, რომელიც მწყობრიდან გამოყვანილი უროებისგან მზადდებოდა. რაც შეეხება მცირე ზომის სანაყებს, ისინი უფრო მცირე ზომის მადნის ნატეხების დასანაყად იხმარებოდა (ტაბ. XIII, 5) (Timberlake S. 2014).

ხელსაფქვავები, საფქვავები და ამბოსები ძირითადად მთამადნელთა ნამოსახლარებზე და ლითონის სახელოესნოებშია დაფიქსირებული. ისინი საკმაოდ მრავალფეროვანია, როგორც ფორმის, ასევე ფუნქციონალური თვალსაზრისითაც.


მსგავსი იარაღების აღმოჩენის არაერთი ფაქტია ცნობილი მსოფლიო სამთო წარმოების ძეგლებზე. ასეთი იარაღები და-ფიქსირებულია ეგვიპტეში ახალი სამეფოს ეპოქის ოქროს წარმოების მაღაროებში (Klemm R. & Klemm D. 2013: 9). მადნის დასანაყი ამბოსები მზადდებოდა დიდი ან ჰატარა ზომის ქვები-სგან. სამუშაო პირი დაფიქსირებულია იარაღის ორივე გვერდზე არსებული ფოსოებითა და სამუშაო მოედნებით. ფოსოების რაოდენობა დამოკიდებული იყო ქვის ზომაზე. ზოგიერთ შემთხვევაში ამბოსებს აქვთ მადნის გასამდიდრებლად განკუთვნილი ერთი ან სამი ფოსო, ხოლო ზოგჯერ მათი რაოდენობა ათსაც კი აღწევს. განსხვავებული ტიპის ამბოსები დაფიქსირებულია ომანში გათხრილ სამთო წარმოების ძეგლებზე. აქ აღმოჩენილი ამბოსები საკმაოდ მცირე ზომისაა, გააჩნიათ იდეალური რომბის ფორმა. ფოსოები კი დატანლი აქვთ თითქმის ყველა მხარეს (Weisgerber G. 1978: 17).

მარილის საბადოებიდან აღსანიშნავია ჰალშტატის მარილის საბადო, რომელიც მდებარეობს ავსტრიაში. აქ მარილის საბადოს დამუშავება იწყება ძვ. წ XVI საუკუნეში (Grabner M. et. all. 2007). ძალიან მნიშვნელოვანი და ფასდაუდებელი მასალაა დაფიქსირებული აქ გათხრილ კულტურულ ფენებში. ძირითადად მეცნიერების გაოცებას იწვევს საოცრად კარგად შენარჩუნებული და ჩვენამდე მოლწეული ისეთი არტეფაქტები, რომლებიც დამზადებულია ორგანული მასალისაგან (Grabner M. et. all. 2007). ასეთი ნივთებია, მაგალითად საქონლის ტყავისა და ხისაგან, ზოგჯერ კი თხის ტყავისგან დამზადებული ე.წ. “ტომარა-ზურგჩანთა” (ტაბ. XXVIII), რომლითაც აქაური მაღაროელები მოპოვებული მადნის გადაზიდვას ახდენდნენ. აღნიშვნას იმსახურებს ასევე, აქ დაფიქსირებული ხის დიდი მორებისგან დამზადებული კიბე. ასევე დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი მაღაროელთა აღჭურვილობა და ინსტრუმენტები. ინსტრუმენტებში ქვის იარაღის გარდა, გამოიჩევა ლითონის წერაქვები-სათვის განკუთვნილი ხის ტარები, მადნის მოსაგროვებელი ხის ციცხვები, წნული კალათები, წყლის მათარები, გობები, ბან-რები და სხვა. ჰალშტატის მაღაროში არქეოლოგიური გათხრები ერთ საუკუნეზე მეტია რაც მიმდინარეობს. ამ ხნის მანძილზე მოპოვებული მასალების მიხედვით სხვადასხვა დარგის სპეციალისტებმა მოახდინეს აქ წარმოებული სამუშაოების სრული



სურ. 21. ქვის უროების ტარზე დაგების წესი (ჩართოლანი შ. 2010: 51)

Fig. 21. Hafting of the hammer tools (Chartolani Sh. 2010: 51)



სურ. 22. დიდი უროების გამოყენების პროცესი. რეკონსტრუქცია (ჩართოლანი შ. 2010: 51)

Fig. 22. Working process with massive hammer. Reconstruction (Chartolani 2010: 51)

რეკონსტრუქცია. აღდგენილია მაღაროელთა ჩაცმის სტილი, მათი ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებული საგნები, მაღაროებში უსაფრთხოების მიზნით გამოყენებული ტექნიკა და სხვა (Kern A. et. all. 2009).

მარილის უძველესი საბადოები ასევე აღმოჩენილია პოლონეთში, აზერბაიჯანში, თურქეთში, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში და სხვ. მარილის საბადოებში გამოყენებული იარაღები, როგორც უკვე აღინიშნა V თავში, საკმაოდ განსხვავდება ლითონის საბადოებში დაფიქსირებული სამთო წარმოების იარაღები-საგან. ეს ყველაფერი კი განპირობებულია მადნის სირბილითა და სპეციფიკით. ქვის იარაღებს, რომლებიც უკავშირდება მარილის მოპოვება-მონგრევას, ახასიათებთ სპეციფიური – მომრგვალებული და ზოგჯერ მკვეთრად წაწვეტებული სამუშაო პირი; თუმცა ლითონის მაღაროების მსგავსად აქ დაფიქსირებული მარილის მადნის გადასამუშავებელი იარაღები არაფრით არ განსხვავდება სამთო წარმოების ძეგლებზე აღმოჩენილ სანაყებისა და ამბოსის ქვებისგან (Marro C. et. all 2010: 233).

აღსანიშნავია ისიც, რომ ქვის უროები დაფიქსირებულია ფირუზისა და სხვადასხვა ნახევრადძვირფასი ქვის მოსაპოვებელ საბადოებშიც. სხვადასხვა ფორმისა და ზომის ქვის უროები, რომელთაც ამკობთ ტარის დასამაგრებლად განკუთვნილი ჭდები თუ სარტყლები, აღმოჩნდა ფირუზის საბადოებში, რომელიც კალიფორნიის შტატში, ჰალორანის მხარეში მდებარეობს (Nelson Leonard N., Drover C. E. 1980: 247-249).

მსოფლიო პრეისტორიული ხანის სამთო წარმოების ძეგლებზე სხვადასხვა ცხოველის ძვლისგან დამზადებული იარაღები საკმაოდ დიდი რაოდენობითა აღმოჩენილი და ტრასოლოგიური ანალიზებისა და ექსპერიმენტალური კვლევების შედეგად დადგენილია, რომ ისინი სწორედ სამთო საქმეში გამოყენებოდა.

გასულ საუკუნეში დიდი ყურადღება ექცეოდა უძველესი მოსახლეობის მეტალურგიის შესწავლას. 25 წელზე მეტია რაც ინტერესი გაიზარდა უძველესი მაღაროებისა და მეტალურგიის მიმართ. მანამდე არქეოლოგიური ინტერესები და კვლევები მაღაროებისადმი შემოიფარგლებოდა მხოლოდ უძველესი გამონამუშევრების გაწმენდითა და დაფიქსირებით. პრეისტორი-

ული ხანის მაღაროებში აღმოჩენილი მასალა ხშირ შემთხვევაში არ იყო აღრიცხული, ყურადღება ექცევიდა მხოლოდ მაღნის დასამუშავებელ ქვის უროებს. გამონამუშევრებში დაფიქსირებული ხის ნახშირის რადიოკარბონული დათარიღება არ ყოფილა პრიორიტეტული (Andrews P. 1994:14). დიდი ხნის მანძილზე ბრიტანეთში გათხრილ სამთო წარმოების ძეგლებთან დაკავშირებით არსებობდა მოსაზრება, რომ ისინი ათვისებული უნდა ყოფილიყო რომაელების ან უძველესი ბრიტანელების მიერ. პრეისტორიული სამთო წარმოების არსებობას აქ შესაძლებლად არ მიირჩნევდნენ. უძველესი მაღაროებისა და მეტალურგიის თანამედროვე ტექნოლოგიებით შესწავლის საქმეში პიონერმა პროფესორმა ბ. როტენბერგმა არქეოლოგიური კვლევების ამ ასპექტში, შეიძლება ითქვას, რევოლუცია მოახდინა (Rothenberg B. 1972).

მსოფლიოში დღეს უკვე ცნობილია უამრავი პრეისტორიული ხანის მაღარო-გამონამუშევარი, სადაც ბრინჯაოსა და რკინის ხანაში ხდებოდა ოქროს, სპილენძის, კალისა და სხვ. მაღნის ძარღვების ათვისება და დამუშავება. პრეისტორიული ხანის საბადოები ცნობილია ბრიტანეთიდან, ესპანეთიდან, იტალიიდან, ანატოლიიდან, შუა აზიიდან და სხვა.

რუდნა გლავა ენეოლიტური ხანის სპილენძის მაღაროა, რომელიც მდებარეობს ბალკანეთში, სამხრეთ სერბეთში და განეკუთნება „ვინჩას“ კულტურის გვიან საფეხურს. ენეოლიტური ხანის სამთო წარმოების ეს ძეგლი აღმოჩენილი იქნა თანამედროვე გეოლოგიური სამუშაოების დროს (Jovanović B. 1986: 1). პრეისტორიულ მაღაროებში ქვისა და ხის იარაღებთან ერთად აღმოჩენილია ირმის რქისგან დამზადებული წერაქვები (ტაბ. XXIV, 1). მსგავსი იარაღების გამოყენება ხშირია ენეოლიტური ხანის კაუის მაღაროებშიც (B. Jovanović 1978: 1-11).

გერმანიის სამთო მუზეუმი 1997-2000 წლებში გათხრებს აწარმოებდა უზბეკეთსა და ტაჯიკეთში. პროექტის „წინა ისლამური ხანის კალის წარმოება ცენტრალიურ აზიაში“ ფარგლებში შესწავლილი იქნა პრეისტორიული ეპოქის მაღაროები. კარნაბში, რომელიც უზბეკეთში მდებარეობს, ძვლის მასალა აღმოჩენილია მაღაროს სხვადასხვა ნაწილში - გამონამუშევარი 3-2, 5-1, 5-3 და 6-1. გამონამუშევარი 3-2 თარიღდება გვიან ბრინჯაოს ხანით, აქ აღმოჩენილი ანდრონოვის კულტურის

კერამიკული ნაწარმის საფუძველზე. 5-1 და 5-2 მაღაროები დამუშავებულია ასევე გვიან ბრინჯაოს ხანაში და თარიღდება ძვ.წ. II ათასწლეულით. 6-1 მაღარო კი ანდრონოვის კულტურას განეკუთნება. სამთო ნარმოების ძეგლი მუშისტონი კი მდებარეობს ჩრდილო-დასავლეთ ტაჯიკეთში. აქ პრეისტორიული ხანის შახტები აღმოჩნდა საბჭოთა პერიოდში, გეოლოგების მიერ, თანამედროვე გვირაბის გაყვანის დროს. აქ მოპოვებული კერამიკული ნაწარმის საფუძველზე მაღაროები თარიღდება ძვ.წ. 2100-1000 წწ.-ით. ცხოველის ძვლები აღმოჩნდნენ მაღარო 3-ში და ზოგიერთ მათგანზე შეიმჩნევა მწვანე ლაქები-სპილენ-ძის მადნის მინერალების კვალი (Doll M. 2003: 115-117).

კარნაბსა და მუშისტონში ცხოველის 2700 ძვალია დაფიქ-სირებული. მათი უმეტესობა ძალიან ცუდად არის შემორჩენილი. საქონლის, ცხენისა და ნითელი ირმის ძვლები იმდენად ფრაგმენტულადაა ჩვენამდე მოღწეული, რომ მათი იდენტი-ფიცირება ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია. ძვლის უმეტე-სობა, მათზე არსებული ნაკანრების მიხედვით, სამზარეულო ნარჩენს ნარმოადგენს. ასევე აღმოჩენილია ვირის კბილები. ვირი სავარაუდოდ სამთოელთა სატვითო საშუალებას წარმოა-დგენდა. ძვლის მასალაში ყველაზე ხშირია ცხვრისა და თხის რქები, რომელთა უმეტესობა სამთო იარაღად არის გამოყენებული. ამაზე მეტყველებს ის, რომ რქის წვერი მომრგვალებულია ხშირი ხმარებისგან და კარგად ემჩნევა დარტყმის კვალი (Doll D. 2003: 116). ასევე, აღსანიშნავია საქონლის ბეჭისგან დამზადებული იარაღები, რომლებიც სამთო წარმოებაში გამოყენებულია საფხეკად და ციცხვებად. დიდი რაოდენობით გვხვდება ქურ-ციკის რქები, რომელთაგან უმეტესობა სამთო იარაღის ფუნ-ქციას ატარებდა და წერაქვად გამოიყენებოდა (Garner J. 2013: 149-199).

რქისა და ძვლის იარაღები აღმოჩენილია ზედა ესაროში გათხრილ პრეისტორიული ხანის სპილენძისა და რკინის მაღაროებში, რომელიც მდებარეობს სამხრეთ იტალიაში. ზოგიერთი გამონამუშევრის კედელზე შემორჩენილია ძვლისა თუ რქის იარაღების დარტყმის კვალი (Garavelli. A. et. all. 2012).

ყურადღებას იქცევს დიდ ბრიტანეთში გათხრილი და შეს-ნავლილი ოცამდე პრეისტორიული ხანის მაღარო, სადაც ლი-თონის წარმოება იწყება ძვ.წ. 2000-1650 წწ.-ში და გრძელდება

ვიდრე რკინის ხანამდე (ძვ.წ. 1100-650 წწ.) (Timberlake S., Cradock B. 2013: 34). XX საუკუნის დასაწყისში ინტენსიური არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობდა და დღესაც გრძელდება, უელსში, დიდი ორმის მაღაროებად წოდებულ სამთო წარმოების ძეგლზე. ძეგლი თარიღდება ძვ.წ 1740-770 წწ. (კალიბრირებული) (Dutton L. A. et. ell. 1994). ე. ლევისი ალნიშნავს ორ ძირითად ფაქტორს, რამაც როგორც, ჩანს განაპირობა ადრეული სამთო წარმოება დიდი ორმის მაღაროებში, რაც ემყარება სპილენძის მაღნის გეოლოგიურ და მინერალოგიურ მდგომარეობას/აგებულობას. პირველი ეს არის მაღნის ხალასი ვიზუალური გამოვლინებები, რომელიც მაშინვე თვალშისაცემი და ხილული უნდა ყოფილიყო, სპილენძის კარბონატის კაშკაშა/ცოცხალი მწვანე და ლურჯი ფერადოვნების გამო (Andrews P. 1994: 31). მეორე და უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ აქ არსებული საკმაოდ გამძლე კლდე შეიცავს დოლომიტის კირქვას. აქედან გამომდინარე მაღანი საკმაოდ რბილია დასამუშავებლად. სპილენძის შემცველი ძარღვების შედარებითი სირბილე მინიმალური ენერგიის დახარჯვისა და მარტივი იარაღების გამოყენების საშუალებას იძლეოდა. სწორედ ამიტომაა, რომ დიდი ორმის მაღაროებში, სხვა პრესტორიულ სამთო ძეგლებთან შედარებით, უფრო მეტი ძვლისა და რქის იარაღია დაფიქსირებული (Lewis A. 1994: 32).

დიდი ორმის ზოგიერთი პრეისტორიული გამონამუშევრის კვდელზე ძვლის იარაღებით შესრულებული სამუშაოების კვალია შემორჩენილი (ტაბ. XXIV, 2) (Lewis A. 1994: 35, tab. 3).

ძვლის ათასობით ფრაგმენტი და იშვიათ შემთხვევაში, მთლიანი ცალებია დაფიქსირებული დიდი ორმის ბრინჯაოს ხანის გამონამუშევრებში. უმეტესი მათგანი დაფარულია სპილენძის მწვანე პატინით (Lewis A. 1996).

თავდაპირველად მკვლევარებს მიაჩნდათ, რომ აქ აღმოჩენილი ძვლები სამზარეულო ნარჩენს წარმოადგენდა, მაგრამ კვლევებისა და ექსპერიმენტების საფუძველზე ეს ვარაუდი არ დამტკიცდა.

ძვლის მასალის უმეტესობაზე შეინიშნება გამოყენების ინტენსიური კვალი და ცვეთა. ისინი გამოიყენებოდა საჭრისების, საფხეკების, ციცხვებისა და სათლელების ფუნქციით, რომლებიც ძირითადად მაღნის ფუჭი ქანების მოსამორებლად და

სადგომი ადგილის მოსასწორებლად გამოიყენებოდა (Lewis A. 1996).

შესწავლილი იარაღებიდან უმეტესობა დამზადებულია საქონლის, ცხვრის, თხის, წითელი ირმის, შვლის, ღორის, ცხენისა და ძალლის ძვლებისგან, რომელშიც დომინირებს საქონლის ძვლისგან დამზადებილი იარაღები. სამუშაო იარაღების დასამზადებლად გამოიყენებოდა სხივის, ნეკის, ბეჭის, მხრის, მენჯისა და ბარძაყის ძვლები და რეჟები (Dutton L.A. et. all. 1994).

ე. ლევისი თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ ძვლის იარაღები უმეტესად ზედაპირული სამუშაოებისათვის იყო განკუთვნილი. მისივე აზრით, საკმაოდ ლოგიკური უნდა ყოფილიყო ძარღვის განვითო თუ ვერტიკალური გაგრძელების დადგენა, ძვლის იარაღების გამოიყენებით. უ. ობრეინის მოსაზრებით კი საქონლის ნეკისგან დამზადებული იარაღები ძირითადად მადნის დასახარისხებლად გამოიყენებოდა (O’Brein 2004:378-385).

ასევე, მეტად საინტერესო ძეგლს წარმოადგენს ეკტონის მაღაროები, რომელიც სტაფორდშირში მდებარეობს. აქ სპილენდისა და ტყვიის ძარღვები ბრინჯაოს ხანაში ინტენსიურად იქნა ათვისებული. აქ გათხრილ გამონამუშევრებში ქვის სამთო იარაღების გვერდით ალმოჩენილია ძვლის იარაღები, რომლებიც კალიბრირებულადაა დათარიღებული (ძვ.წ. 1800- 1700 წწ.). ექტონ ჰილის ბრინჯაოს ხანის სხვადასხვა მაღაროები მრავლადაა ძვლისგან დამზადებული იარაღები ნაპოვნი, თუმცა ზოგიერთი მათგანი ჩვენამდე ძალზე ფრაგმენტულადაა მოღწეული (Timberlake. S., Craddock B. 2013).

ზემოთ აღნიშნული ძვლის იარაღები ძირითადად დამზადებულია საქონლის სხივის ძვლისაგან და ზოგიერთი მათგანი, ძირითადად ირმის რქისგან დამზადებული ცალები, დაფერილია სპილენდის მწვანე ჰატინით (Lewis A. 1991: 15-16).

ადრეული მაღაროების მკვლევარებისა და ექსპერიმენტალური არქეოლოგიის სპეციალისტების ბ. კრედოკისა და ს. ტიმბერლეიკის ტიპოლოგიის მიხედვით ძვლის იარაღებში გამოიყოფა ექვსი ძირითადი ტიპი, ფორმისა და შესაძლო ფუნქციის მიხედვით. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ერთი გარკვეული იარაღი ხშირ შემთხვევაში ორი ფუნქციის მატარებელია (სურ. 19).

პირველ ტიპს წარმოადგეს საქონლის სხივის ძვლისაგან დამზადებული იარაღი, რომლის შესახსრების ადგილი მომრგვა-ლებულია და გამოყენებულია სახელურად. ლულოვანი ნაწილ-იდან ღრუბელი მთლიანად გამოღებულია. ფუნქციონალურად ესადაგება ციცხვს.

მეორე ტიპს მიეკუთნება წვეტანები, საჭრისები და საფხეცე-ბი, რომელიც დამზადებულია ლულოვანი ძვლის გახლეჩვის შედეგად.

მესამე ტიპში შედის ლულოვანი ძვლის გახლეჩვის შედეგად დამზადებული ციცხვები.

მეოთხე ტიპს კი მიეკუთნება ციცხვი, რომლის ერთი ბოლო საჭრისად არის გამოყენებული.

მეხუთე ტიპში შედის მეტად იშვიათი ეგზემპლარი. ის წარ-მოადგენს დიდი ზომის საქონლის ლულოვანი ძვლისგან დამზადებულ იარაღის ტარს.

მექვესე ტიპს კი მიეკუთნება წითელი ირმის რქისგან დამზადებული იარაღი, რომელიც წერაქვის ფუნქციას ასრულებდა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია წითელი ირმის რქის მორჩისგან დამზადებული წერაქვი, რომელიც ორი ტოტისგან შედგება. გამოყენების კვალი მხოლოდ ერთ-ერთ წვერზე შეიმჩნევა და ხმარე-ბისგან ის დაბლაგვებულია. ამის გამო წვერის უდიდესი ნაწილი აღარ არის შემორჩენილი. მეორე ტოტი კი როგორც ჩანს ტარად იყო გამოყენებული. ასევე ძალზედ საინტერესოა რქის იარაღზე დატანილი სატარე ღარები.

ყველა ზემოთ აღნერილი იარაღი სავარაუდოდ გამოი-ყენებოდა მალაქიტის თხელი ფენის მოსაფხეცად ანდა რბილი და ფუჭი ქანების მოსახვეტად (Timberlake S. 2013: 23).

ექტონ ჰილის კომპლექსში გათხრილია ე.ნ. ჰოლანდიელის მაღარო, რომელშიც დაფიქსირდა ირმის რქის წერაქვისებური იარაღი. კალიბრირებული თარილის მიხედვით იგი ძვ.წ. 1800-1760 წწ.-ით თარიღდება (Barnatt J., Thomas J. H. 1998: 75).

ირმის რქის სხვა იარაღები დაფიქსირდა უელსში, კოპა ჰილის ბრინჯაოს ხანის მაღაროებში, თუმცა ისინი ძალზედ ფრაგმენ-ტულია (Timberlake S. 1987: 18-20).

ძვლისა და რქის იარაღები, ასევე, ცნობილია როსის კუნძუ-ლის მაღაროებიდან. აქ წარმოდგენილი იარაღები ძირითადად

დამზადებულია საქონლის ნეკნებისგან და ბეჭის ძვლისაგან. ისინი გამოიყენებიდა საფხეკებისა და ნიჩბის ფუნქციით (O’Brein W. 2004: 378-385).

ადრეული მაღაროების კვლევის ჯგუფის დაკვირვებითა და ექსპერიმენტული არქეოლოგიურ კვლევებზე დაყრდნობით ცნობილია, რომ ირმის რქისაგან დამზადებული წერაქვები, მადნის გაცხელებისა და გახურების შემდგომ, საკმაოდ ეფექტურია მაგარი კლდის მოსანგრევად (Timberlake S. 2003). ირმის რქის იარაღების ალმოჩენა საკმაოდ ხშირია პრეისტორიული ხანის მაღაროებში და სამთოელთა ტიპურ იარაღს წარმოადგენს. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბუნებრივი პირობებისა და ძეგლის დაცულობის გამო რქისა და ძვლის იარაღები ხშირად საკმაოდ დაზიანებული და ფრაგმენტული სახითაა შემორჩენილი (Timberlake S. 1994).

რქის იარაღების გამოყენება კაუის საბადოებში უკვე ნეოლითის ხანაში იწყება. ჩატარებული კვლევების მიხედვით ცნობილია, რომ რქის იარაღები საკმაოდ ეფექტურად გამოიყენებიდა, როგორც კაუის საბადოების დასამუშავებლად, ასევე კაუის იარაღების დასამზადებლად და მათი რეტუშირებისათვის. 1968-1973 წწ. გაითხარა ნეოლითური ხანის საბადო ლოვენბურგ-ნოიემიულეფელდში. გათხრებს ანარმოებდა ბაზელის უნივერსიტეტის ძველი ისტორიის ლაბორატორია პროფ. დოქტ. ელიზაბეტ შმიდტის ხელმძღვანელობით. გათხრებისას დაფიქ-სირდა 181 ეგზემპლარი რქის იარაღი. მცირე რაოდენობის კერამიკის ნატეხებისა და C₁₄ დათარიღების საფუძველზე ძეგლი ძვ.წ. III ათასწლეულის მიწურულითა და II ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება (Böckner G. 1999: 48-66).

ირმის რქის იარაღები ნეოლითის ხანის საბადოებში ძირითადად გამოიყენებოდა სასურველი ადგილის კირქვისა და წვრილი ქვებისგან გასათავისუფლებლად. ზოგიერთი რქის წანაზარდი თიხისა და კირქვის გასაფხეკად და ინტენსიური გასუფთავებისათვის გამოიყენებოდა. ასევე ირმის რქა საკმაოდ ეფექტურ იარაღს წარმოადგენდა კაუის გასახლეჩად. წვეტიანი წანაზარდები - ე.წ. მორჩები გამოიყენებოდა საფხეკად, ხოლო ზოგიერთი მათგანი, რომელის წანაზარდი სახელურის ფორმისაა, წერაქვის ფუნქციას ასრულებდა (Böckner G. 1999: 48-66).

რქის იარაღები ასევე მრავლადა დაფიქსირებული ნეოლ-

ითური ხანის კაჟის საბადოებში, დასავლეთ სასექსში. რქის წერაქვების გარდა აქ მრავლად დაფიქსირდა ცხოველის ძვლებისგან დამზადებული იარაღები, რომლთა შორის ჭარბობს ბეჭის ძვლისგან დამზადებული ნიჩბისებური იარაღები. ექსპერიმენტალური არქეოლოგიის სპეციალისტმა დ. ფილდმა ჩაატარა კვლევა, რის საფუძველზე დამტკიცდა, რომ ამ ტიპის იარაღები გამოიყენებოდა მაღნის გოროხების/გროვების კალათში ჩაყრელად (Field D. 1994).

პროფ. ბ. ოტოვეის ფუნდამენტურ კვლევებში წარმოდგენილია სამთო წარმოებაში მიმდინარე სისტემატური სამუშაოების აღწერილობები და გამოყენებული იარაღების კლასიფიკაცია. მის ნაშრომში შედგენილი სამთო სამუშაოების ეტაპებისა და გამოყენებული იარაღების შეკალა საკმაოდ წათლად წარმოგვიდგენს ქვის, ძვლისა და რქის იარაღების ფუნქციასა და დანიშნულებას (Ottoway. B 1994: 44).

დასკვნა

ნაშრომში ჩვენ მიერ პროექტის „პრეისტორიული ხანის სამთო იარაღები საქართველოში“ ფარგლებში შესწავლილი მასალა მნიშვნელოვანია საქართველოს პრეიტორიული ხანის სამთო წარმოების ისტორიისათვის. საქართველოს მუზეუმებში დაცული ქვის სამთო წარმოებასთან დაკავშირებული იარაღების ტიპოლოგია და კლასიფიკაცია შევიმუშავეთ საყდრისის მაღაროებში აღმოჩენილი იარაღების არსებული ტიპოლოგიის, მსოფლიო სამთო წარმოების იარაღების ტიპოლოგიისა და კლასიფიკაციის საფუძველზე. ფუნქციისა და დანიშნულების მიხედვით გამოიყო იარაღის რამდენიმე სახეობა – ურო, ამბოსი, საფქვავი, ხელსაფქვავი, სანაყი, საფხეკი, დამხმარე იარაღი, კომბინირებული იარაღი. უროების კვლევისას აღმოჩნდა, რომ საქართველოს სამთო წარმოების ძეგლებზე, ფიქსირდება მცირე და დიდი ზომის უროები, ჩაქუჩისებური, თოხისებური და წერაქვისებური სამუშაო პირებით. გვხვდება მრგვალი ფორმის, ოთხკუთხაგანივეთიანი და ცალგვერდდაბრტყელებული უროები. ტარის დაგების ტექნიკის მიხედვით უროებზე დატანილია ჭდეები და სარტყლები, რომელთა ვარიანტებიც საკმაოდ მრავალფეროვანია.

მაღნის სანაყები წარმოდგენილია მრგვალი და მოგრძო ფორმის იარაღებით, რომელთაც ერთი ან ორი სამუშაო პირი გააჩნიათ. მაღნის გასამდიდრებელი იარაღები წარმოდეგნილია ამბოსების, საფქვავებისა და ხელსაფქვავების სახით. კომბინირებულ იარაღებში გვხვდება სასრეს-სახეები, სახე-სანაყები და სასრეს-ამბოსები.

ძვლისა და რქის იარაღების შესწავლისას გამოიყო იარაღების 3 ტიპი - საფხეკი, სახვრეტი და წერაქვი (ირმის რქისაგან დამზადებული იარაღის ნამზადი); ხოლო ობსიდიანის იარაღები წარმოდგენილია ორი ძირითადი ტიპით – საფხეკ-სახოკებითა და საფართებით. ცალკე აღნიშვნის ღირსია ობსიდიანის ისრის-პირი, რომელსაც ემჩნევა მეორადი გამოყენების კვალი.

როგორც ცნობილია, კავკასიისა და კერძოდ საქართველოს ტერიტორიაზე მიკვლეულ სამთო წარმოების ძეგლებზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოები ძირითადად სა-დაზვერვო-გამოვლენითი ხასიათისა იყო. ამდენად უძველეს გა-

მონამუშევრებში სტრატიფიცირებული ფენები არ ყოფილა შესწავლილი (ლამბაშიძე ი. და სხვ. 2010).

საყდრისში აღმოჩენილი ძვლისა და ობსიდიანის იარაღების აღმოჩენა პირველი შემთხვევაა, როდესაც გამონამუშევრის შევსებაში ესოდენ მნიშვნელოვანი არტეფაქტები დაფიქსირდა. ობსიდიანის იარაღები კავკასიის რეგიონის განსაკუთრებულობას წარმოადგენს და ამდენად მათი გამოყენება სამთო წარმოებაში არ არის გასაკვირი.

საყდრისში აღმოჩენილი ძვლისა და რქის იარაღის ტიპები არ არის ისეთი მრავალფეროვანი, როგორც ეს სხვა უძველეს სამთო ძეგლებზე მიკვლეული, მაგრამ საერთო სამთო წარმოების იარაღების ტიპოლოგიაში მათი ადგილი კარგად არის გამოკვეთილი.

მადნის მოპოვება-დამუშავებისათვის განკუთვნილი იარაღების გარდა საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირებულია, ასევე, იარაღების დასამზადებელი ინსტრუმენტები.

ქვის უროების შემდგომი კლასიფიკაციისას დავეყრდენით ჯ. პიკინის, უ. ო'ბრაიანის და ს. თიმბერლეიკის მიერ შემუშავებულ ტიპოლოგიას, რომელიც უროებზე ტარის დაგების მიხედვით არის შედგენილი და ექვს ტიპს აერთიანებს: I. უროები ჭდის/ლარის გარეშე; II. უროები მკრთალი ჭდე/ლარებით ან მკრთალი სარტყელით; III. უროები ღრმა ანდა მკრთალი ჭდებით/ლარებით იარაღის შუა ნაწილში. III ტიპის იარაღებში გაერთიანებულია უროები, რომელთაც ტარის დასამაგრებლად განკუთვნილი ჭდები დატანილია აქვს იარაღის გვერდებზე. ჭდები ხშირ შემთხვევაში დატანილია იარაღის შუა ნაწილში; გვხვდება, როგორც მკრთალი, ასევე ღრმა ჭდები; IV. უროები არასრული სარტყელით. ამ ტიპის იარაღებს ტარის დასამაგრებელი სარტყელი, იარაღს გარშემო ბოლომდე არ შემოსდევს; V. უროები ღრმა ან მკრთალი სარტყლით; VI. უროები ორმაგი ან სამმაგი ჭდით (ლარი).

ასევე, გავითვალისწინეთ სამთო არქეოლოგის თომას შტოლნერის ტიპოლოგია, რომელიც საყდრისის საბადოში დაფიქსირებულ იარაღებს აღნერს. ფორმისა და ზომის მიხედვით იგი გამოყოფს ოთხ ძირითად ტიპს: I. დიდი ზომის ბრტყელი ფორმის უროები. II. უროები ოვალური ან ოთხკუთხაგანივებითი. III. მასიური უროები. IV. მცირე ზომის ბრტყელი უროები. უროების

გარდა საყდრისის მაღაროებში ასევე, მოპოვებულია ქვის ამ-ბოსები, სანაყები, საფქვავები, ხელსაფქვავები.

სხვადასხვა დროს განხორციელებული კვლევა-ძიება, სამეც-ნიერო ლიტერატურა და ექსპერემენტები გარკვეულ წარმოდგე-ნას გვიქმნის ბრინჯაოს ხანის სამთამადნო საქმეში გამოყენებ-ული იარაღების ფუნქციაზე.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ სამთამადნო ძეგლებზე დაფიქსირებულია როგორც ღია, ასევე, მიწისქვეშა მაღაროების დამუშავება-ათვისების კვალი. გვხვდება ჰორი-ზონტალური, დახრილი და ვერტიკალური, მარტივი და გან-ვითარებული ტიპის გამონამუშევრები. ბრინჯაოს ხანის მა-ღაროების დიდ ყურადღებას აქცევდნენ უსაფრთხოების ზომებს, რასაც აფხაზეთის, სვანეთისა და რაჭის მაღაროებში დაფიქსირებული ხის ძელების აღმოჩენა ადასტურებს. მადნის მოპოვება ხდებოდა ქვის უროების, ქვის თოხისებური იარაღე-ბის, რქის წერაქვების, ცეცხლისა და წყლის მეშვეობით.

მაღაროებში მომუშავე ადამიანი საკმაოდ კარგად იცნობდა ქვის ჯიშებს, რაც იარაღისათვის ნედლეულის არჩევაში გამოიხ-ატება. ქვის იარაღების დასამზადებლად გამოყენებული ქვის ჯიშები საკმაოდ მყარია, თუმცა არც ისე რომ მისი წინასწარი დამუშავება შეუძლებელი ყოფილიყო.

პრეისტორიელ მაღაროელს მადნის მოპოვების თითოეული ეტაპებისათვის გამოყენებული აქვს სპეციალიზირებული იარაღი, რაც მათ მაღალკვალიფიციურობაზე მიუთითებს. აშკარაა, რომ სხვადასხვა დანიშნულებისა და ფუნქციის იარაღი სპეციალურად შერჩეული მაგარი ჯიშის ქანებისაგან მზადდე-ბოდა.

იარაღის ყველა ტიპს გარკვეული ფუნქცია და დანიშნულება ჰქონდა. მასიური ქვის უროებით ხდებოდა მოსაპოვებელი მად-ნის ზედაპირის მომზადება და დასუსტება. დასუსტებულ მადანს ანგრევდნენ საშუალო და მცირე ზომის ჩაქუჩუსებურთავია-ნი და თოხისებურთავიანი უროებით, რქის წერაქვებით; მო-პოვებული მადნის ანევა-ტრანსპორტირება ხდებოდა ხელით, გობებითა და წნული კალათებით, რასაც მთიან საქართველოში დაფიქსირებული მასალა მოწმობს (ჩართოლანი შ. 2010). ძლის საფხეკების მეშვეობით ხდებოდა მადნის საზღვრების დაღვენა, ჩამოფხევა და დახარისხება. მონგრეული და მოპოვებული მად-

ნის დახარისხება ხდებოდა სანაყებისა და დიდი ზომის სახეების მეშვეობით, ხოლო მიღებული მასა იფქვებოდა სპეციალური საფქვავების და სასრესების მეშვეობით. გამოიყენებოდა, როგორც მშრალი, ასევე სველი დახარისხების მეთოდი.

მიგვაჩნია, რომ ნაშრომში წარმოდგენილი მასალა მომავალში უფრო დეტალურ კვლევას საჭიროებს, რომელიც საშუალებას მოგვცემს შევიმუშავოთ სამთო იარაღების უფრო დანაწევრებული ტიპოლოგია და უფრო კონკრეტულად განისაზღვროს მათი ფუნქციური დატვირთვა. ამისათვის ვგეგმავთ, ინტერდისცი-პლინარული კვლევები ჩავატაროთ უფრო დიდი რაოდენობის და ყველა სახის იარაღზე, აღებული იქნება ქიმიური ანალიზები.

ნაშრომში განხილული სამთო წარმოების იარაღების ტიპოლოგიური დახასიათებისას ჩვენ ვითვალისწინებდით თ. შტოლნერის, ს. თიმბერლეიკის, უ. ო'ბრაიანისა და ჯ. პიკინის მიერ შემუშავებულ კლასიფიკაციებსა და ტიპოლოგიებს. ამან საშუალება მოგვცა საქართველოს სამთო წარმოების ძეგლებზე აღმოჩენილი იარაღები მიგვესადაგებინა უკვე შემუშავებული ტიპოლოგიისათვის.

იმის გამო, რომ საყდრისის მაღაროებში მოპოვებული მრავალფეროვანი და მრავალრიცხვანი ქვის იარაღების შესწავლა არ არის დასრულებული და მომავალში შესაძლებელია მივიღოთ სამთო იარაღების უფრო დიფერენცირებული ტიპოლოგია, წინამდებარე ნაშრომში, დღეისათვის ჩვენ, თავს ვიკავებთ საქართველოს უძველეს მაღაროებში მოპოვებული სამთო იარაღების სრული ტიპოლოგიის წამოდგენისაგან.

საყდრისის სამთო იარაღებზე ამჯერადაც მიმდინარეობს ინტენსიური კვლევები, რაც უფრო სრულყოფილი ტიპოლოგიის შექმნას შეუწყობს ხელს.

RESUME

In order to reconstruct and understand the process of prehistoric mining it is very important to investigate mining tools very carefully. Tools that are involved in mining process are very different by their functions and utilization. Tools for exploitation and concentrating the ore are discovered almost on every Bronze Age mining sites, in Great Britain, Spain, Austria, Iran, Egypt, etc. These tools are investigated and discussed in literature by different authors in regard of general typology, their use-wear, hafting. Working tools of Bronze Age mining sites are very various and different by their function and utilization. First of all there are stone tools that are used for exploitation of the ore. For concentration ore, such as anvils, grinding stones, pestles are often discovered at Bronze Age mining sites; very rarely there is also evidence of bone and antler tools which are utilized directly in mining work.

Caucasus is famous for its physical-geographic and geological characteristics. The verified tectonic and geological development led to very profitable conditions for exploiting ore and producing metal during ancient times. This is likely the background for the beginning of ore exploitation in 4th-3th millenniums B.C. in South Caucasus and Georgia (Gambashidze I. et. all. 2010).

